ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba
akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 20 – 21 იანვარი, 2018 | №16 (7561) | ფასი: 50 თეთრი

## პაატა იმნაძე: „ეს ვაქცინა ხმარებიდან რომ ამოგვეღო, ხალხი ცოფით მოკვდებოდა“

გვ.3



19 იანვრიდან
ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ქართული დეტექტივი ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „პროკურატურა ხორავას ქუჩაზე მკვლელობის მონაწილეებს ხელს აფარებს“



## ზვიად კუპრავა:

გვ.5

„ეს ადამიანები არიან საკმაოდ გავლენიანი ოჯახის შვილები და ამიტომ რისკავს საგამოძიებო უწყება“



## ლევან ალაფიშვილი: „არ მესმის, ხელისუფლება სააკაშვილს ქართულ პოლიტიკაში რატომ ექაჩება“

გვ.2





## მიხეილ სააკაშვილი: „22 იანვარს ჩემი დეპორტაციის საკითხი გადაწყდება“

გვ.2

## ავღანეთი ჯიჰადისტების ბაზა ხდება?

გვ.4

პაკისტანი შეიძლება გლობალური მასშტაბის კოშმარად იქცეს



## ვარკეთილში ორ ქალს მანქანა დაეჯახა – მძღოლს პოლიცია ეძებს

გვ.2

## დავით სერგეენკო: „ვაქცინები, რომლებიც დღეს არის საქართველოში, მაღალხარისხიანია“

გვ.3

### ეკონომიკა

გვ.6

„ფული აქვს და გადაიხადოს“ ასეთი მიდგომა საქართველოში ძალიან პოპულარულია, თუმცა – გაუმართლებელი“






2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები გადაჭარბებით შესრულდა

კომერციული ბანკების წმინდა მოგება რეკორდულად გაიზარდა





პროფკავშირების ინფორმაციით, გასულ წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 41 და მძიმედ დაშავდა 63 ადამიანი

ISSN 1987-9385

**3** ვალუტის ყიდვა-გაყიდვით ბანკებმა გასულ წელს 202 მილიონ ლარზე მეტი მოგება მიიღეს

**2** გიორგი ქანთურიას მამა: „ვერანაირად ვაკავშირებ ჩემი შვილის დაკავებას ქუთათელაძის მკვლელობასთან“

**4** 5-წლიანი თვალთვალისა და ადევნებისთვის მამაკაცს 2-წლიანი პირობითი მიუსაჯეს

**6** აზერბაიჯანელებმა საქართველოში უძრავი ქონების შეძენა დაიწყეს

# ლევან ალაფიშვილი: „არ მესმის, ხელისუფლება სააკაშვილს ქართულ პოლიტიკაში რატომ ექაჩება“

ნათია ხურცილავა



**იურისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის შესაძლო ექსტრადიციაზე საუბრობს.**

***— ბატონო ლევან, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი დეპორტაცია გარდაუვლად მოხდება. რას იტყვით თქვენ?***

— მე არ შემიძლია დავადასტურო, რომ ქართველი და უკრაინელი მაღალჩინოსნების შეხვედრებზე მართლაც სააკაშვილის ექსტრადირების საკითხი იყო განხილული. თუმცა, რა თქმა უნდა, გასაკვირი ის იქნებოდა, რომ არ განხილულიყო. აქვე ალბათ უადგილო არ იქნება, რუსი პრანკერების ჩანაწერიც რომ გავიხსენო.

***— თუმცა, ამ ჩანაწერის ავთენტურობა დადგენილი არ არის.***

— დიახ, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ეს საუბარი მოხდა. ცხადია, რომ ეს საკითხი პრობლემაა როგორც ქართული მხარისთვის, ისე უკრაინისთვის. ეს ყველაფერი ამას ადასტურებს. როგორც არ უნდა წარიმართოს ეს პროცესი, ვერც საქართველო და ვერც უკრაინა ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ კანონსა და დემოკრატიულ სტანდარტებზე მაღლა დადგეს, ისე, როგორც ამას ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აკეთებს.

სასამართლო პროცედურების გარეშე არა თუ მიხეილ სააკაშვილის, ყოფილი პრეზიდენტის, არამედ სხვა ნებისმიერი პირის ექსტრადირება შეუძლებელია, ვერ მოხდება. ნებისმიერ პირს გარანტირებული აქვს მისი საქმის განხილვა მინიმუმ ორი ინსტანციის სასამართლოში.

ჯერ არც ერთ სასამართლოში ექსტრადირების საკითხი არ განიხილება. რამდენჯერმე იყო ეს საკითხი დაყენებული, მოთხოვნა იყო ექსტრადირებაზე, მაგრამ, ასევე, იყო მოთხოვნაზე პასუხად უარი მიღებული. ეს პროცედურა შეიძლება განახლდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს საკითხის უმალ გადაწყვეტას. ეს პროცედურები ორივე მხარისთვის ძალიან მძიმე იქნება.

***— იუსტიციის სამინისტროს ეს მოთხოვნა აქვს გაკეთებული და უარიც აქვს მიღებული, მაგრამ მაშინ უკრაინაში სხვა პოლიტიკური რეალობა იყო, დღეს სხვა რეალობაა.***

— მე ამ შემთხვევაში მხოლოდ სამართლებრივ ნაწილზე ვმსჯელობ: ორი უარი იუსტიციის სამინისტროს აქვს მიღებული შემდეგი მიზეზით: ერთი, მიხეილ სააკაშვილი მაშინ უკრაინის მოქალაქე იყო, ექსტრადირებაც დაუშვებელი იყო და ამიტომ მიიღო უარი. მეორე მიზეზი: უკრაინულმა მხარემ ჩათვალა, რომ საკმარისი მტკიცებულებები არ იყო და იუსტიციის სამინისტროს უარით უპასუხა.

რაც შეეხება სამართლებრივ რეალობას, დღეს ეს რეალობა შეცვლილია. სააკაშვილი არც უკრაინის მოქალაქეა და არც — საქართველოსი. ასევე, საქმეზე განაჩენიც არის დამდგარი და პროცედურის დაწყების ფორმალური საფუძველი განსხვავებულია. სხვა საკითხია, განახლდება თუ არა ეს პროცედურა, შემდეგ რა გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინის მთავარი პროკურატურა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ასევე, როგორც გითხარით, ორი ინსტანციის სასამართლო, ამ პროცედურებზეა დამოკიდებული, იქნება თუ არა სააკაშვილის ექსტრადიცია საქართველოში.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ ექსპრეზიდენტების ციხეში ჩასმა, სამართლებრივი დევნა მარტივი არ არის. რამდენად შეძლებს საქართველოს პროკურატურა უტყუარი მტკიცებულებების დადებას სააკაშვილის წინააღმდეგ? როდესაც საქმე ეხება ყოფილ პრეზიდენტს, ეს საქმე იქნება განხილვის საგანი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ.***

— დიახ, რა თქმა უნდა, ეს ასე იქნება. ეს საქმე უკვე გასცდა ჩვენი ქვეყნის არეალს. არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ შეიძლება გადამწყვეტიც იყოს. მიხეილ სააკაშვილი იყო სახელმწიფოს მეთაური, დასავლეთის პარტნიორი სახელმწიფოს მეთაური. ამდენად, ასე მარტივი არ იქნება თუნდაც დასავლეთისთვის იმ ფაქტის მიღება, რომ თურმე სააკაშვილი კრიმინალი იყო და მათ კრიმინალთან უწევდათ პარტნიორობა და მხარს კრიმინალს უჭერდნენ. ხვდებით, ეს რა დონის სკანდალი შეიძლება იყოს?! ამიტომ არის დამაჯერებელი, მყარი, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის წარმოდგენა საჭირო მთავარი პროკურატურის მხრიდან.

თუკი უკრაინისა და საქართველოს ხელისუფლება ამ კონტექსტში გაიაზრებენ ამ ყველაფერს და რეალურად შეაფასებენ ამ გამოწვევას, მაშინ მათ მოუწევთ სერიოზული შრომის გაწევა.

***— ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება სააკაშვილს აწყობს ექსტრადიცია, რომ ამით მას შანსი მიეცემა საქართველოში თავისი პოლიტიკის განახლების. ეს ვერსია რეალობასთან ახლოს არის?***

— დიახ, რასაკვირველია. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, მთელი ეს პროცესი მულტფილმ „ტომი და ჯერის“ მაგონებს, ერთმანეთის გარეშე რომ ვერ ძლებენ. ამდენად, მე არ მესმის ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევის, რომ მიხეილ სააკაშვილი კვლავ დატოვონ იმ პოლიტიკურ სივრცეში, რომელზეც მან შეგნებულად თქვა უარი. სახელმწიფოს მეთაურმა, უცხო ქვეყნის სამსახურის გამო, უარი თქვა თავის სახელმწიფოს მოქალაქეობაზე. ამით ის ავტომატურად გავიდა ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან და არ მესმის, რატომ აბრუნებენ?! არ მესმის, ჩვენი ხელისუფლება რატომ ექაჩება ამ რეალობაში სააკაშვილს. შეიძლება იმიტომ, რომ ამით შეინარჩუნოს საკუთარი თავი ამ პოლიტიკურ რეალობაში.

# მიხეილ სააკაშვილი: „22 იანვარს ჩემი დეპორტაციის საკითხი გადაწყდება“

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა უკრაინიდან გააძევონ. ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიიჩნევს, რომ 22 იანვარს ჩანიშნულ სასამართლოზე სწორედ ეს საკითხი განიხილება.**

რომლითაც ამერიკაში ვსარგებლობდი, მაგრამ როცა ამერიკიდან წამოვედი, ანგარიში გავაუქმე. მათ იპოვნეს ეს ბარათი და გუშინ პეჩორის სასამართლომ ჩემი ამერიკული ბარათის კონფისკაცია მოახდინა. ის არ მოქმედებს და ანგარიში გაუქმებულია.

მათ ასლი გააკეთეს და ბარათის კონფისკაცია მოახდინეს. დეგენერატები! პროკურატურა სამი დღე იმით იყო დაკავებული, რომ ჩემი ბარათის კონფისკაცია მოეხდინა! წარმოგიდგენიათ, როგორ არაკვალიფიციურ თაღლითებთან გვაქვს საქმე! გესმით, ვის ხელშია ქვეყნის ბედი, — აღნიშნა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლების ქმედებებით მართა-



სააპელაციო სასამართლოში მისი საქმის განხილვა 19 იანვარს უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთ-ერთი მოსამართლის ოჯახური მდგომარეობის გამო 26 იანვრამდე გადაიდო.

26 იანვრამდე მას კიდევ ერთ სასამართლოზე მოუწევს დასწრება, სადაც მისი უკრაინაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი გადაწყდება.

— ორშაბათს, 22 იანვარს გაიმართება კიდევ ერთი საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში, სადაც უკრაინაში ცხოვრების სტატუსი უნდა შემიწყვიტონ და ჩემი დეპორტირება მოახდინონ.

მათთვის მთავარი პრობლემაა, რომ ქვეყანაში ვიმყოფები. მათ არ აქვთ მტკიცებულებები, სასამართლო უკვე მეხუთედ გადაიდო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დამკითხეს და ყველა კითხვა პოლიტიკური ხასიათის იყო, მეკითხებოდნენ — რის გაკეთებას აპირებთ? — განაცხადა სააკაშვილმა.

მან უკრაინის პროკურატურა საბანკო ბარათის კონფისკაციაშიც დაადანაშაულა.

— ჩხრეკისას მიპოვნეს ბარათი,

ლია აღშფოთებულია, მაგრამ პატიმრობას სიამოვნებით მიიღებს.

— მალდივებზე დასვენებას, უკრაინაში ციხეში ყოფნა მირჩევნია, — ამბობს ჩვენებური.

რომელიც დარწმუნებულია, რომ ოფიციალური კიევი მის საქართველოში ექსტრადირებას შეეცდება.

სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამ თემებზე სასაუბროდ ეწვია უკრაინას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. ჩვენი სპიკერი უკრაინის ხელისუფლების პირველ პირებს, მათ შორის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსაც შეხვდა.

ოფიციალური თბილისი იუწყება, რომ უკრაინაში გამართული აუდიენციების დროს მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების თემა არ განხილულა.

ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ეს კომპეტენტურ ორგანოებში გასარკვევი საკითხია.

უკრაინულ მედიაში მტკიცებით კი ამბობენ, რომ სააკაშვილი ერთ-ერთი საკვანძო თემა იყო ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე.

# გიორგი ჭანტურიას მამა: „ვერანაირად ვაკავშირებ ჩემი შვილის დაკავებას ქუთათელაძის მკვლელობასთან“




— სამსონ ქუთათელაძეს მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდი და ვერანაირად ვაკავშირებ ჩემი შვილის დაკავებას სამსონ ქუთათელაძის მკვლელობასთან, — ამის შესახებ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში დაკავებულმა და შემდეგ გათავისუფლებულმა გიორგი ჭანტურიას მამამ, ზურაბ ჭანტურიამ განაცხადა.

მისივე თქმით, მან რუსთავში ბაზარი 2010 წელს ხუთ პირთან ერთად დააარსა.

— ამის შემდეგ ჩემთვის წილების ჩამორთმევა მოხდა. 2012 წლის შემდეგ საქმე პროკურატურაში შევიტანე. რაც შეეხება ქუთათელაძეს, მე მას მხოლოდ გამარჯობით ვიცნობდი და ვერანაირად ვაკავშირებ ჩემი შვილის დაკავებას სამსონ ქუთათელაძის მკვლელობასთან. ასევე მიჭირს დაკავშირება ჩემი შვილის დაკავებასა და რუსთავის მერიიდან ჩემს გამოშვებას შორის, — განაცხადა ზურაბ ჭანტურიამ.

მან ბრიფინგზე განაცხადა, რომ 28 დეკემბერს რუსთავის მერიაში დაიბარეს და უთხრეს, რომ სამსახური უნდა დაეტოვებინა როგორც მას, ასევე მის შვილს. ზურაბ ჭანტურია ყვება, რომ მიზეზი რუსთავის მერს არ დაუსახელებია, თუმცა განუმარტა, რომ „ეს პარტიის ზედა ფენებში გადაწყდა“. ზურაბ ჭანტურია აცხადებს, რომ ის 2011 წლიდან „ქართული ოცნების“ წევრია და მისი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხს უახლოეს მომავალში პარტიაში აუცილებლად გაარკვევს.

შეგახსენებთ, რომ გენერალ სამსონ (სოსო) ქუთათელაძის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში დაკავებულმა გიორგი ჭანტურიამ წუხელ, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობა დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მას მიმდინარე გამოძიებაზე ბრალი არ წარედგინა.

# ვარკეთილში ორ ქალს მანქანა დაეჯახა — მძღოლს პოლიცია ეძებს

სამართალდამცავები ამ დრომდე ეძებენ „ოპელის“ მარკის ავტომობილის მძღოლს, რომელიც გვიან ღამით, ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ორ ქალბატონს დაეჯახა.




დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებს მძღოლის ვინაობა დადგენილი აქვთ — ავტომობილი საჯარიმოზეა გადაყვანილი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამდენი იქნება თბილისის მერისა და მისი მოადგილეების ხელფასები 2018 წელს




დედაქალაქის საკრებულომ მერიისა და საკრებულოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო დაადგინა.

საკრებულოს 16 იანვრის დადგენილებით, თბილისის მერის თანამდებობრივი სარგო თვეში 3.180 ლარი, მისი პირველი მოადგილის (ვიცემერი) 6.300, ხოლო მოადგილის – 6.150 ლარია. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მერს 5 მოადგილე ჰყავს.

ამავე დადგენილების თანახმად, მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობრივი სარგო თვეში 5.000 ლარი, მისი პირველი მოადგილის – 4.000 ლარი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეების კი 3.600 ლარია. ცნობისთვის, მერიის ადმინისტრაციის უფროსს 3 მოადგილე ჰყავს.

ჯამში, მერიის ადმინისტრაციის, მერისა და მისი მოადგილეების საშტატო რიცხოვნობა 115 პირს შეადგენს, რომელთა ანაზღაურებაც 1.000 ლარიდან 6.300 ლარამდე მერყეობს.

რაც შეეხება დედაქალაქის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო 5.664 ლარია, ხოლო მისი პირველი მოადგილის – 4.720 ლარი.

ამასთან, საკრებულოს თავმჯდომარის ორი მოადგილის ყოველთვიური სარგო 4.560 ლარია. თბილისის საკრებულოს კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეთა თანამდებობრივი სარგოები კი თვეში 4.160 ლარს, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო კი 3.980 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება საკრებულოს სხვა თანამშრომლებს, საშტატო რიცხოვნობა ჯამში 194-ია და თანამდებობრივი სარგოები 1.600 ლარიდან 2.800 ლარამდე მერყეობს.

# ვალუტის ყიდვა-გაყიდვით ბანკებმა გასულ წელს 202 მილიონ ლარზე მეტი მოგება მიიღეს




2017 წლის განმავლობაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალი 16,378 მილიონი ლარით შემცირდა.

კერძოდ, გასული წლის 12 თვეში, ბანკების მიერ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 202,954 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 219,332 მილიონი იყო.

ამასთან, საკონვერსიო ოპერაციებიდან ყველაზე მეტი – 35,677 მილიონი ლარის მოგება ბანკებმა გასული წლის დეკემბერში მიიღეს.

# შსს-მ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა 1975 წელს დაბადებული ბ.ლ., ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ხაშურის რაიონის სოფელ გომში დააკავეს.



შსს-ს ცნობით, მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– სამართალდამცველებმა ბ.ლ. ხაშურის რაიონის სოფელ გომში დააკავეს. პოლიციამ მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას, „აკ-74"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 30 საბრძოლო ვაზნა და „რგდ"-ის ტიპის ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღო, – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების ცნობით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

# პაატა იმნაძე: „ეს ვაქცინა ხმარებიდან რომ ამოგვეღო, ხალხი ცოფით მოკვდებოდა"

## „ცოფის ვაქცინაზე ამხელა აჟიოტაჟი სულ ტყუილად ატყდა"

ნონა ცაბაძე

**ცოფის ვაქცინის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი საზოგადოებაში კვლავაც არ ცხრება. აუდიტის სამსახურის დასკვნამ მოსახლეობა შოკში ჩააგდო. ჯანდაცვის მინისტრსა და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებს 24-საათიან რეჟიმში უწევთ იმის მტკიცება, რომ ვაქცინა ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის.**

„ახალი თაობის" კითხვებს დაავადებათა კონტროლის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე პასუხობს.

***– ბატონო პაატა, აუდიტის სამსახურის დასკვნას საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რამდენად სახიფათოა აღნიშნული ვაქცინა ადამიანის ჯანმრთელობისთვის?***

– განსაკუთრებული არაფერი ხდება. ეს არის ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი.

***– მაშინ, ვის და რატომ დასჭირდა ეს ყველაფერი? მოსახლეობა დაიბნა, რომელ ვაქცინაზეა საუბარი?***

– ლაპარაკია ცოფის ვაქცინაზე, რომელიც 2015 წელს შემოვიტანეთ ქვეყანაში და რომელიც იყო მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული, ქვეყანაში რეგისტრირებული და მთელი წელი ბედნიერად ვხმარობდით ამ ვაქცინას. 2016 წლის თებერვლის დასაწყისში მოგვივიდა შეტყობინება, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ მოუხსნა პრეკვალიფიკაცია.

***– რა მიზეზით მოუხსნა?***

– იმიტომ მოუხსნა, რომ მწარმოებელ ქარხანაში როდესაც ჩატარდა ინსპექტირება, გარემოსა და ჰიგიენის სტანდარტები არ იყო შესაბამისობაში გარემოს სტანდარტებთან.

***– ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი იყო ეს ვაქცინა?***

– არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. არ ყოფილა საუბარი არც ჯანმრთელობით საფრთხეზე, არც უკურეაქციაზე, არც ვაქცინის ხარისხზე. თვითონ ქარხანაში გარემოს ზოგიერთი ჰიგიენური მაჩვენებელი იყო შეუსაბამო არსებულ სტანდარტებთან. შესაბამისად, მოუხსნეს პრეკვალიფიკაცია.

***– როდესაც ეს დასკვნა მიიღეთ, ამოიღეთ ვაქცინა ხმარებიდან?***

– არ ამოგვიღია. ეს ვაქცინა რომ ამოგვეღო ხმარებიდან, ხალხი მოკვდებოდა ცოფით. გასტრონომში ხომ ვერ იყიდი ცოფის ვაქცინას?! ჯერ ერთი, აქ ვაქცინის ხარისხზე ლაპარაკი არ ყოფილა და ეს ვაქცინა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. აი, ეს არის მთავარი მთელ ამ ისტორიაში. იმათ კი არ უთქვამთ, ვაქცინას რამე სჭირსო. უბრალოდ, ქარხანას მოეხსნა პრეკვალიფიკაცია. ახლა არაპრეკვალიფიცირებულ ვაქცინებს იყენებს ნახევარი მსოფლიო.

***– დარჩა ქსელში კიდევ ეს ვაქცინა?***

– როგორ დარჩებოდა, როცა 2015 წელსა და 2016 წლის თებერვალზეა საუბარი. 2016 წლის მარტის შუა რიცხვებიდან უკვე ახალი ვაქცინით ჩავანაცვლეთ. აბსოლუტურად ტყუილად ატყდა ამხელა აჟიოტაჟი.



***– ბატონო პაატა, ვირუსების სეზონია, ამბობენ, რომ ახალი ტიპის ვირუსი გამოჩნდა საქართველოში. ასეა?***

– დიახ, ასეა. გამოჩნდა უკვე გრიპი. შემიძლია გაგახაროთ, პირველი ორი გრიპის ვირუსი უკვე შემოვიდა.

***– რა ტიპის ვირუსზეა საუბარი?***

– ბე ტიპის ვირუსზე. ევროპაში ა ტიპის ვირუსიც დადის და ბე ტიპის ვირუსიც, თითქმის ნახევარი ნახევარზეა. ჩვენთან ჯერჯერობით მხოლოდ ბე ტიპის ვირუსი გამოჩნდა.

***– რა მახასიათებლებით უნდა ამოვიცნოთ?***

– არაფერი განსაკუთრებული, გრიპი გრიპია.

***– მაღალი ტემპერატურით ვითარდება?***

– დიახ, მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, დამტვრეულობა და ასე შემდეგ. ავადმყოფი აუცილებლად უნდა დარჩეს სახლში, ვირუსი რომ არ გაავრცელოს, რადგან მსუბუქი ავადმყოფები არიან სწორედ ვირუსის გამავრცელებლები. რაც მთავარია, თუ მძიმე მიმდინარეობაა, დროზე მიმართონ ექიმს, რომ რამე გართულება არ ჰქონდეთ.

***– რისკის ჯგუფები არსებობს?***

– რა თქმა უნდა, არსებობს. ძალიან პატარები, მოხუცები, ორსულები, ქრონიკული დაავადებების მქონენი და ასე შემდეგ. სახელმწიფომ აცრა დაახლოებით 30 ათასი ადამიანი, რომლებიც ასეთი მაღალი რისკის ჯგუფის მატარებლები იყვნენ და ეს აცრები ჩატარდა უფასოდ. ეს მაღალი რისკის ჯგუფებში შეღავათს მოგვცემს. თუმცა, ვინც არ წარმოადგენს მაღალი რისკის ჯგუფს, გრიპს ნურც ისინი გაუთამამდებით. ძალიან იშვიათად, მაგრამ შეიძლება ძალიან დამძიმდეს, ამიტომ დროზე მიაკითხეთ ექიმს.

***– რამდენ ხანს დარჩება, თებერვალ-მარტში?***

– რადგან ცოტა გვიან შემოვიდა, თებერვალი, მარტი აუცილებლად და, ვვარაუდობთ, რომ აპრილშიც გადავა. მოსახლეობამ უნდა დაიცვას ჰიგიენის ნორმები. გრიპიან ბავშვებს ნუ გაუშვებენ სკოლასა და ბაღებში. ბავშვებს დროზე თუ მივხედავთ, საჰოსპიტალიზაციო არ გახდებიან.

პირველ ეტაპზე ბავშვს რომ სიცხე დაუფიქსირდება 38 გრადუსი ან მეტი, მეორე დღეს ექიმს უნდა მიმართოთ და უნდა მოხდეს მკურნალობითი ჩარევა, რათა არ გახდეს ბავშვი საჰოსპიტალიზაციო. დედამ, ბავშვი რომ ავადაა, სახლიდან არ უნდა გაიყვანოს. ბაღსა და სკოლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

# დავით სერგეენკო: „ვაქცინები, რომლებიც დღეს არის საქართველოში, მაღალხარისხიანია"



ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ვაქცინაციასთან დაკავშირებით დამატებით განმარტებებს აკეთებს. როგორც მინისტრმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გავრცელებული ინფორმაცია, რომ იმუნიზაციის პროგრამით, სავარაუდოდ, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი 29 ათასი ვაქცინა გაიხარჯა, სიმართლეს არ შეესაბამება.

– გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. სიმართლეს არ შეესაბამება არცერთი პუნქტი. პირველი, რომ ეს პრობლემა ვრცელდებოდა მთლიანად იმუნიზაციის პროგრამაზე, მათ შორის ბავშვების ვაქცინებზე, არასწორია. არავითარ შემთხვევაში. ეს იყო მხოლოდ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაზე.

მეორე, რომ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ამ ვაქცინას არ ჰქონდა ბაზარზე დაშვების უფლება და არალეგალური იყო და მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილებით მოხდა შემოტანა, ესეც არ შეესაბამება სიმართლეს. ეს იყო ჩვეულებრივად რეგისტრირებული 2015 წელს და არა მხოლოდ რეგისტრირებული, არამედ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული პრეპარატი.

მესამე ის, რომ ეს ვაქცინა პოტენციურად საფრთხეს უქმნიდა ადამიანების ჯანმრთელობას. არც ეს შეესაბამება სიმართლეს. ამასაც განვმარტავ – ჩვეულებრივ ვაქცინის, ან რაიმე სხვა მედიკამენტის რეგისტრაციაში არის რამდენიმე დონე. ერთი არის თავად რეგისტრაცია, ამაზე უფრო მაღალი დონე არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული პრეკვალიფიკაცია, რომელიც არის ხარისხობრივად უფრო მაღალი თამასა. ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა ვაქცინა, რომელიც არსებობს მსოფლიო ბაზარზე იყოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული, მაგრამ ყოველთვის ეს არ ხერხდება. მაგრამ, თუ პრეკვალიფიკაციას მოხსნის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, არ ნიშნავს, რომ ეს ვაქცინა წარმოადგენს საფრთხეს.

თუმცა, შარშან 11 თებერვალს როგორც კი მოგვივიდა შეტყობინება, ჩვენი ან საერთოდ უნდა შეგვეწყვიტა ვაქცინაცია, სანამ ახალს არ შემოვიტანდით, ეს დაიჭერდა დაახლოებით თვენახევარს და ამ ხნის განმავლობაში, უბრალოდ, დავკარგავდით ადამიანებს. მეორე, გაგვეგრძელებინა ან გვეზრუნა ჩანაცვლებაზე. ჩვენ ვიზრუნეთ ჩანაცვლებაზე და 20 მარტიდან ახალი ვაქცინით ვაგრძელებდით მუშაობას. თუმცა, იმ პერიოდში და მანამდეც არცერთი გართულება ამ ვაქცინას არ ჰქონია, – განაცხადა სერგეენკომ.

მისივე თქმით, ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად მოხდა ჩვენს ქვეყანაში, რომ ბოლო 3 წელი არცერთი ადამიანი არ გარდაცვლილა ცოფით, სწორედ ამ ვაქცინაციის პროგრამის დამსახურებით, როდესაც წელიწადში დაახლოებით 5-6 ადამიანი გარდაიცვლებოდა.

– ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის სამსახურთან. მე დღესაც მქონდა შეხვედრა მათს ხელმძღვანელობასთან და დამიდასტურეს, რომ ყველა კითხვა, რომელიც შეეხებოდა ამ საკითხს მოხსნილია დღის წესრიგიდან. ჩვენ მათ ძალიან მკაფიო განმარტება მივეცით. დღესაც დამიდასტურეს, რომ ეს საკითხი აღარ არის დღის წესრიგში. თუმცა, ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამას სწავლობენ ბევრი სხვა პარამეტრის, მათ შორის ფინანსური პარამეტრებითაც. ხაზგასმულად მინდა ვთქვა, რომ როდესაც ასეთ თემებზე არის საუბარი, გზავნილები უნდა იყოს ძალიან მოზომილი.

მე არ ვაპირებ, მენტორულად აგიხსნათ, როგორ უნდა შეასრულოთ თქვენი სამუშაო, უბრალოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: 2004-2005 წლებში, როდესაც იყო საქართველოში წითელას აფეთქება და ეს იყო არაიმუნიზირებული ფენა, რომელსაც 90-იან წლებში უნდა გაეკეთებინა ვაქცინაცია. მხოლოდ ერთი სიუჟეტი, რომელიც გავიდა მაშინ მედიაში, რომელიც ემსახურებოდა დისკრედიტაციას იმუნიზაციის, საერთოდ მოშალა ეს ყველაფერი და 2013-2014 წლებში მივიღეთ წითელას აფეთქება, როდესაც 15 ათასი ადამიანი დასნებოვნდა და მათგან 4 გარდაიცვალა.

იმუნიზაცია და ვაქცინაცია არის ერთადერთი საშუალება, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში დაადასტურა, რომ ეს არის ერთადერთი ქმედითი საშუალება გადამდები დაავადებებისგან გადასარჩენად. საზოგადოებას მოვუწოდებ, ნუ აიცრუებენ გულს ვაქცინაციაზე. ვაქცინაცია, როგორც ტექნოლოგია, არის უსაფრთხო და ეფექტური. ხოლო ის ვაქცინები, რომლებიც დღეს არის საქართველოში, მაღალხარისხიანია, – განაცხადა სერგეენკომ.

# ავღანეთი ჯიჰადისტების ბაზა ხდება?

## პაკისტანი შეიძლება გლობალური მასშტაბის კოშმარად იქცეს

მარიამ მჭედლიშვილი

**სირიასა და ერაყში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო" ბოლომდე განადგურებულად ჯერ არ ითვლება, რადიკალი ისლამისტები სხვაგან აგრძელებენ პოზიციების გაძლიერებას.**



ერთი ასეთი ადგილია ავღანეთი. „ფაინენშელ თაიმსის" შეფასებით, სირიიდან და ერაყიდან ტერორისტების განდევნის შემდეგ ავღანეთი იქცევა საყრდენ ბაზად ჯიჰადისტებისთვის ცენტრალური აზიიდან.

გამოცემის თქმით, იმ საბაბით, რომ ეს დაემუქრება რუსეთის უსაფრთხოებას, მოსკოვი გამოდის ინიციატივით. რუსეთი მზადაა, ხელი შეუწყოს მოლაპარაკებებს ავღანეთის მთავრობასა და ორგანიზაცია „ტალიბანს" შორის.

იმავდროულად, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ წინანდელი დაპირისპირების მიუხედავად, ტალიბანი საფრთხეს არ უქმნის კრემლს. რუსეთის ნამდვილი მიზანია, დაამყაროს თავისი გავლენა ამ რეგიონში.

ტალიბანის მხარდაჭერასა და ავღანეთში ვითარების დაძაბვის მცდელობაში პაკისტანს ადანაშაულებს აშშ. თეთრი სახლის აზრით, ეს ეწინააღმდეგება აშშ-ის პოლიტიკას ავღანეთში და საფრთხეში აგდებს იქ მყოფ ამერიკელ ჯარისკაცებს.

პრეზიდენტმა ტრამპმა პაკისტანის მიმართ მკაცრი განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, იმ დახმარების სანაცვლოდ, რასაც ვაშინგტონი ისლამაბადისადმი ახორციელებდა, ამერიკამ მიიღო სიცრუე და ტერორისტების მიმართ მხარდაჭერა.

ამერიკელი ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ პაკისტანთან 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ განახლებული მჭიდრო თანამშრომლობა ამერიკის შეცდომა იყო. პაკისტანი გახდა აშშ-ის ნატოს არაწევრი მოკავშირე. მან მიიღო წვდომა მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიებზე.

პაკისტანი არასწორად იქცევა, მაგრამ, ანალიტიკოსების აზრით, ამაზე ვაშინგტონმა მას დიპლომატიური არხებით უნდა მიაწვდინოს ხმა და არა – საჯარო რადიკალური განცხადებებით. ასე ისლამაბადი თავის პოლიტიკას არ შეიცვლის.

ამერიკული მედია ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას მოუწოდებს, გაითვალისწინოს ამერიკელი ხალხის დაკვეთა და არ დაუშვას კიდევ ერთი მსხვილი ომი.

– თუ ამერიკის ადმინისტრაცია განაგრძობს თავისი მოქალაქეების დარწმუნებას იმაში, რომ ახალი ომი საუკეთესო საშუალებაა ყველა უბედურებისაგან თავის დასახსნელად, მაშინ საზოგადოება დაიწყებს ფიქრს ახალი ლიდერების მოსაძებნად, – მიაჩნიათ ექსპერტებს.

ამერიკის ეროვნული ინტერესების ცენტრის კვლევებით, 10 რესპონდენტიდან 8-ს უნდა, რომ აშშ-ის ფინანსური რესურსები საშინაო პრობლემების მოგვარებას მოხმარდეს და არა – საგარეო ამოცანებს.

ამერიკელების ამ კატეგორიის ამომრჩევლების განწყობების გამომხატველად ითვლებოდა ტრამპი. დღეს ექსპერტები აცხადებენ, რომ აშშ-ის ახლანდელი პრეზიდენტი მიესალმა ავღანეთში ომის ესკალაციას, მან გაზარდა ამერიკელების ყოფნა სირიასა და ერაყში.

მათი თქმით, თეთრი სახლის მეთაური მზადაა, დაიწყოს ომი კორეის ნახევარკუნძულზე. ეს ომი თავისი დანახარჯებითა და მსხვერპლით გადააჭარბებს ყველა ომს, რომელშიც აშშ მონაწილეობდა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ.

ექსპერტების აზრით, ირანის ბირთვულ შეთანხმებაზე ტრამპმა მცირე შესვენება აიღო. გარკვეული დროის შემდეგ იგი ირანს ისევ შეუტევს და, სავარაუდოდ, ამერიკა დატოვებს ამ შეთანხმებას.

ეს ზრდის ირანთან დაპირისპირების საფრთხეს. ბირთვული თვალსაზრისით ყველაზე მზარდ სახელმწიფოდ ითვლება პაკისტანი. ამჟამად სუსტი პაკისტანი შეიძლება იქცეს გლობალური მასშტაბის კოშმარად. ანალიტიკოსები თეთრ სახლს ურჩევენ, არ შეწყვიტოს პაკისტანისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევა და არ დაიწყოს მასთან მტრობა.

# 5-წლიანი თვალთვალისა და ადევნებისთვის მამაკაცს 2-წლიანი პირობითი მიუსაჯეს



ადევნების ბრალდებით ზუგდიდში ერთი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გასული წლის ივნისში აღიძრა. მას რაიონულმა სასამართლომ პირობითი მსჯავრი 2 წლის ვადით შეუფარდა. პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნული ბრალდებით პირის დაკავების პრეცედენტი ზუგდიდში დაფიქსირდა. ინფორმაციას ამის შესახებ რადიო ათინათი ავრცელებს.

მსჯავრდებულს მსხვერპლმა კანონის ძალაში შესვლიდან ერთ თვეში უჩივლა. მის წინააღმდეგ საქმე 151-ე პრიმა მუხლით აღიძრა, რაც განისაზღვრება როგორც პირადად, ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან სხვა ახლო ნათესავის არაკანონიერი თვალთვალი, ასევე არასასურველი კომუნიკაციის დამყარება სატელეფონო, ელექტრონული, ან სხვა საშუალებით, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას.

ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამბობს, რომ ნაცნობი მამაკაცი მას 5 წლის განმავლობაში აწუხებდა. მისივე თქმით, არასასურველი კომუნიკაცია სატელეფონო ზარებში, ქუჩაში ადევნებითა და ფარული თვალთვალით გამოიხატებოდა.

– ის რამდენიმე წლის წინ შემთხვევით გავიცანი. ამის შემდეგ მირეკავდა, მწერდა... ჩემი უარის მიუხედავად, თავს არ მანებებდა. როდესაც უკვე კატეგორიულად მოვთხოვე ჩემთვის თავი დაენებებინა, ის უფრო აგრესიული გახდა, მოდიოდა ჩემს საცხოვრებელ სახლთან, როცა მოესურვებოდა. მხვდებოდა ქუჩაში, სკოლაში, ყველგან, სადაც მივდიოდი, დამდევდა მანქანით. სკოლიდან მომავალ ჩემს შვილს და დედას ხვდებოდა, მლანძლავდა მათთან. გარდა ამისა, დედაჩემსაც უგზავნიდა შეტყობინებებს, – ამბობს ის. 40 წლამდე ასაკის ქალი ამბობს, რომ ამ ყველაფრის გამო ის საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ განწყობას გრძნობდა, რადგან ოჯახის წევრები, მეზობლები და მეგობრები მომხდარში მას ადანაშაულებდნენ.

– ყველა ჩემკენ იშვერდა თითს. ბევრჯერ მიფიქრია თვითმკვლელობაზე და ქალაქიდან წასვლაზე. ერთ დღესაც შემთხვევით გავიგე, რომ ადევნება და თვალთვალი შეიძლება დასჯადი ყოფილიყო. მაშინ ეს კანონი არ მოქმედებდა, როგორც კი შემოვიდა ძალაში, პროკურატურას მივმართე განცხადებით, თავიდან იმდენად არ მქონდა იმედი, რომ ამას რამე სახის რეაგირება მოჰყვებოდა, თუმცა ახლა ვგრძნობ, რომ თავიდან დავიბადე, – თქვა მან.

ზუგდიდის რაიონული პროკურორის ლევან სალიას ინფორმაციით, ბრალდებულმა სასამართლოში თავი დამნაშავედ ცნო და მას 2 წელი პირობით მსჯავრთან ერთად, მთელი რიგი შეზღუდვები დაუწესა.

– ჩვენი მხრიდან რეაგირება მყისიერი იყო. საქმეზე გამოძიება დაიწყო და სასამართლო გასული წლის ნოემბერში დასრულდა. პირი საქმის აღძვრიდან მალევე დააკავეს. მსჯავრდებულმა სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენიმე თვე წინასწარპატიმრობაში გაატარა. მას სასამართლომ დაზარალებულთან მიახლოება, სატელეფონო ზარები თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებებით კონტაქტის დამყარება აუკრძალა. ამასთან, მას დაზარალებულის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლებაც არ აქვს, – აღნიშნა სალიამ.

პროკურატურაში რადიო „ათინათთან" საუბარში აღნიშნეს, რომ მსგავს შემთხვევებში მთავარი პრობლემა მოქალაქეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის უნდობლობაა, რის აღდგენაშიც მათ ხელს კოორდინატორები უწყობენ.

– პროკურატურას ჰყავს გამოცდილი კოორდინატორები, რომლებიც ამავე დროს არიან ფსიქოლოგებიც. ისინი მიდიან დაზარალებულებთან, აწვდიან ინფორმაციას მათ საკუთარი უფლებების შესახებ. აღნიშნული ინსტიტუტი სამართალდამცავებსა და დაზარალებულებს შორის ნდობის აღდგენას და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს, – თქვა ლევან სალიამ.

2017 წლის მაისში სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება და ადევნება დასჯადი გახდა. ეს ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი: დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ – ჯგუფურად, არაერთგზის ან და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

# ტრაგედია მარნეულში — 13 წლის ბიჭი მატარებელმა გაიტანა




მარნეულში 13 წლის მოზარდი მატარებელმა გაიტანა, არსებული ინფორმაციით, ბიჭს ყურსასმენები ეკეთა, ამიტომ მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო. სკოლის მოსწავლე ადგილზე გარდაიცვალა.

ფაქტზე გამოძიებაა 275-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# რუსთავში ხანძარს 50 წლამდე ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა



რუსთავში, კონსტიტუციის ქუჩის 63 ნომერში გაჩენილ ხანძარს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ცეცხლი საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში გაჩნდა. დაღუპულია 50 წლამდე ასაკის ქალი.

წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლი სიგარეტის ნამწვავიდან თავდაპირველად საწოლს წაეკიდა და სახლში მყოფი ქალი კვამლის შედეგად გაიგუდა.

ხანძრის გამომწვევ ზუსტ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

# გლდანულაში 60 წლამდე ქალი გარდაცვლილი იპოვეს




გლდანულის დასახლებაში 60 წლამდე ასაკის ქალი სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

„ნიუპოსტის" ინფორმაციით, ქალს ინსულტი ჰქონდა გადატანილი და მისი გარდაცვალების მიზეზიც, სავარაუდოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობა გახდა.

შემთხვევასთან დაკავშირებით დამატებითი ცნობები ჯერჯერობით არ ვრცელდება.

# „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს წევრზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტსაბჭოს წევრ ალექსანდრე კვახაძეზე თავდასხმის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. შემთხვევა 17 იანვარს მოხდა.

როგორც კვახაძემ აღნიშნა, თავდამსხმელები კონკრეტულ თანხას ითხოვდნენ და უარის მიღების შემდეგ მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მისივე თქმით, ფიზიკური დაზიანებები საკუთარ სახლთან მიაყენეს.

– თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული შეტყობინების საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული შ.ი. ძალადობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული ჯარიმას ან ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მოქალაქე ა.კ.-ს მიმდინარე წლის 17 იანვარს დაუკავშირდა თავისი მეზობელი – ი.რ. და შეხვედრა სთხოვა. იგი ი.რ.-სა და მის ნაცნობს – შ.ი.-ს 18 იანვარს, თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩაზე, სკვერში შეხვდა. ი.რ.-მ გარკვეული თანხა სთხოვა ა.კ.-ს, რაზეც მან უარი უთხრა.

ასევე, დადგინდა, რომ ი.რ.-მ, სასურველი თანხის მიღების მიზნით, ა.კ.-ს მობილური ტელეფონის ლომბარდში ჩაბარება სთხოვა, რაზეც კვლავ უარი მიიღო. ამის შემდეგაც მათ საუბარში ჩაერთო შ.ი., რომელმაც ა.კ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიება ძალადობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლით, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

# ბელარუსში ორი ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი „გელა გალსკი" და „სულიკო თბილისკი" დააკავეს



ბელარუსის პოლიციამ მინსკის აეროპორტში ორი ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი „გელა გალსკი" და „სულიკო თბილისკი" დააკავა. ამის შესახებ ბელარუსის შსს-ს პრესსამსახური იუწყება.მათივე ინფორმაციით, ბელარუსის შსს-ს კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მინსკის ეროვნულ აეროპორტში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს: 17 იანვარს – გელა ქარდავა, 18 იანვარს კი – სულიკო შარიქაძე. კრიმინალურ სამყაროში დაკავებულები „კანონიერი ქურდის" სტატუსით სარგებლობენ.

– შემოწმებისას გელა ქარდავამ მესაზღვრეებს სხვა ადამიანზე გაცემული რუსეთის მოქალაქის პასპორტი წარუდგინა. დაკითხვის დროს მან საკუთარი კრიმინალური სტატუსი დაადასტურა და განმარტა, რომ რუსეთიდან ბელარუსის გავლით სტამბოლში მიდიოდა, სადაც კანონიერი ქურდების შეკრებაში უნდა მიეღო მონაწილეობა.

რაც შეეხება სულიკო შარიქაძეს, ის ბელარუსის ტერიტორიაზე რეგისტრაციისა და საიმიგრაციო ბარათის გარეშე იმყოფებოდა, რითაც ქვეყნის საიმიგრაციო კანონმდებლობა დაარღვია. ის ბელარუსში რუსეთიდან ავტომობილით შემოვიდა, სადაც გასული წლის 7 დეკემბრამდე იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვის გამო იხდიდა სასჯელს, – ნათქვამია ბელარუსის შსს-ს განცხადებაში.

# „პროკურატურა ხორავას ქუჩაზე მკვლელობის მონაწილეებს ხელს აფარებს“

## ზვიად კუპრავა: „ეს ადამიანები არიან საკმაოდ გავლენიანი ოჯახის შვილები და ამიტომ რისკავს საგამოძიებო უწყება“




შორენა მარსაგიშვილი

**ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევა, რომელსაც 2 მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, დღემდე ბევრ საიდუმლოს მალავს. აქამდე ასხებულ კითხვებს და ეჭვებს რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი დაემატა – ფარდული, სადაც მოზარდებმა ჩხუბი დაიწყეს, პოლიციის ნებართვით დაანგრიეს.**

არასამთავრობო ორგანიზაცია სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მიიჩნევს, რომ ფარდული კვალის დაფარვის მიზნით იქნა დანგრეული.

„ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავა ამბობს, რომ ეჭვებს პროკურატურის სხვა ნაბიჯებიც აჩენს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას მასზე თავდასხმა განხორციელდა. კუპრავა ამ თავდასხმას რამდენიმე ფაქტს უკავშირებს. ერთ-ერთ ვერსიად სწორედ ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას განიხილავს. მოკლული მოზარდის, დავით სალარიძის, მამა მისი მეგობარია. კუპრავა ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული და საქმესთან დაკავშირებით არაერთი სკანდალური განცხადება გააკეთა.

რატომ არ სჯერა დაღუპულების ოჯახებს გამოძიების, რატომ მალავს პროკურატურა სისხლიან გარჩევაში მონაწილე მოზარდების ნაწილის ვინაობას, რა კითხვები არ დაუსვა საგამოძიებო უწყებამ ექსპერტიზას? – ამის შესახებ ზვიად კუპრავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– ხორავას ქუჩაზე მდებარე ფარდული, სადაც სისხლიან გარჩევამდე მოზარდებს შორის ჩხუბი დაიწყო, მიზანმიმართულად დაანგრიეს. შემთხვევის ადგილი, თუ ის დაცულია ბუნებრივი ზეგავლენებისგან, ინახავს კონკრეტულ მტკიცებულებებს. ისინი შეიძლება იყოს უხილავი მტკიცებულებები, როგორებიცაა დნმ, სისხლის კვალი, ფეხსაცმლის ნაკვალევი.

ჩვენ როცა ამის შესახებ პროკურატურას ვაცნობეთ, გვითხრეს, რომ ფარდული პირადი საკუთრება იყო და მესაკუთრე რასაც უნდა, იმას უზამსო. არადა, როგორც ჩვენ გავარკვიეთ, ფარდულს არ ჰყოლია მესაკუთრე. ამ ფარდულით მართალია ვიღაც სარგებლობდა, მაგრამ ის არ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას. შესაბამისად, მასზე სრული კონტროლი ჰქონდა სახელმწიფოს.

ქალბატონმა, რომელიც დროებით სარგებლობდა ამ ფარდულით, რატომღაც ახლა გადაწყვიტა მისი დანგრევა. მან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო თუ მიაღებინეს, მარტივი გასარკვევი არაა და სხვა თემაა.

ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რომ ეს ქალბატონი მივიდა პოლიციაში და განაცხადა, რომ ამ ფარდულის დანგრევას აპირებდა. მას ამაზე სახელმწიფომ მწვანე შუქი აუნთო. იმას ვერავინ იტყვის, პოლიციამ არ იცოდა, ჩხუბი ამ ფარდულში რომ დაიწყო. ეს ამბავი მთელმა საქართველომ იცის. თავად ეს ქალბატონი იმიტომ მივიდა პოლიციაში, რომ კარგად აცნობიერებდა ამ ფარდულის მნიშვნელობას.

ამ ფარდულის დანგრევაზე მთელი პასუხისმგებლობა გამოძიებას ეკისრება. ხორავას ქუჩაზე დაღუპული დავით სარალიძის მამამ პროკურატურას შვილის პირადი ნივთები და ტანსაცმელი სთხოვა. საგამოძიებო უწყებამ გამოძიების დასრულებამდე ამ ნივთების დაბრუნებაზე უარი თქვა. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ რატომ დართო პროკურატურამ დალუქული ფარდულის დანგრევის უფლება?!

სასამართლოს მიმდინარეობისას შესაძლებელი იყო იმ ადგილზე ექსპერიმენტის ჩატარება. ასეთმა ექსპერიმენტმა, შესაძლოა, ჭეშმარიტების დადგენა გააადვილოს. ადვოკატმა ტარიელ კაკაბაძემ თქვა, რომ ის ამ ადგილზე სასამართლოსთან ერთად საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა იმ ადგილებს ანგრევენ, სადაც გახმაურებული მკვლელობა მოხდა.

***– სად მოხდა კიდევ ასეთი შემთხვევა?***

– ზუგდიდში. რამდენიმე წლის წინ იქ აფხაზეთის სუსის უფროსი ზვიად ლაგვილავა მოკლეს. იქ მეორე დღესვე ჩავიდა მაშინდელი შს მინისტრი ვახტანგ გომელაური და ის ადგილი დაანგრევინა, სადაც ლაგვილავა მოკლეს. ოჯახი ამბობდა, რომ ეს იყო მკვლელობა, სახელმწიფო ამტკიცებდა, უბედური შემთხვევააო. ამ დროს მოხდა იმ შენობის დანგრევა, სადაც შემთხვევა მოხდა.

როდესაც გახმაურებული მკვლელობებისას ასეთი მნიშვნელოვანი ნაგებობების დანგრევა ხდება, ბევრი კითხვა ჩნდება. საზოგადოებას სრულიად ბუნებრივად უჩნდება ეჭვი, ხომ არ ცდილობს ხელისუფლება რაღაცის დამალვას.

ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში პროკურატურა ნამდვილად მალავს რაღაცას და მე შემიძლია კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ.

მე ხელთ მაქვს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც პროკურატურა აღწერს, თუ რა და როგორ მოხდა ხორავას ქუჩაზე. იქ იმ მოზარდების გვარებიც ჩამოთვლილია, რომლებიც ამ ინციდენტში მონაწილეობენ. საქმე მოზარდებს ეხება და მე გვარებს არ დავასახელებ.

საინტერესო ისაა, რომ პროკურატურა ოფიციალურ დოკუმენტში ახსენებს ინციდენტში მონაწილე 15 პირს, რომელთა გვარებს არ ასახელებს. დასახელებულ გვარებს და ამ 15 პირს თუ შევკრებთ, გამოდის, რომ ინციდენტში 21 ადამიანი მონაწილეობდა.



***– ამ 15 მოზარდის ვინაობა რატომ არაა დასახელებული?***

– სწორედ ეს აჩენს ეჭვებს. სადაც დანარჩენების ვინაობა დაადგინეს, იქ ამ 15 მოზარდის ვინაობის დადგენაც შეიძლებოდა დარწმუნებული ვარ, დადგენილიც აქვთ. იმას არავინ დაიჯერებს, რომ მათი ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. ეს ბავშვები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ გამოძიება კონკრეტულ ადამიანებს ხელს აფარებს. პროკურატურა ყველანაირად ცდილობს, ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან იხსნას, ეს ადამიანები არიან საკმაოდ გავლენიანი ოჯახის შვილები და ამიტომ რისკავს საგამოძიებო უწყება.

***– თქვენ არაერთხელ თქვით იმის შესახებ, რომ ინციდენტის დროს კიდევ რამდენიმე მოზარდი დაიჭრა. ამაზე რას ამბობს პროკურატურა?***

– პროკურატურა ამაზე არაფერს არ ამბობს. მე ვიცი იმ მოზარდების ვინაობა, რომლებიც იმ გარჩევის დროს დაიჭრნენ. ამის დადგენაში დანგრეულ ფარდულში ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტი დაგვეხმარებოდა.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ფარდული იყო ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება, საიდანაც შესაძლებელი იყო სისხლის კვალის ამოღება, დნმ-ის ამოღება, რაც რეალური სურათის აღდგენისთვის და დამნაშავეთა გამოვლენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იქ, გარდა გარდაცვლილებისა, არის სხვა ადამიანების სისხლი. აქედან გამომდინარე, ფარდულის მოშლა პირდაპირ მტკიცებულებების განადგურებაა.



**„ფარდული, სადაც მოზარდებმა ჩხუბი დაიწყეს და სადაც ბევრი მტკიცებულება იყო, შეგნებულად დაანგრიეს“**

იმ პირობებში კი, როცა საქმე ბურუსითაა მოცული, ვერსია, რომელსაც გამოძიება გვთავაზობს, რომ 2 მოზარდის მკვლელობაში მხოლოდ 2 არასრულწლოვანი და ასევე 2 დანა ფიგურირებს, კითხვებს ბადებს.

***– თქვენში რა კითხვებს ბადებს 2 დანის და 2 მოზარდის მონაწილეობა?***

– პროკურატურა გვეუბნება, რომ დავით სალარიძეს ჯანაშიამ მიაყენა 12 ნაკვეთი ჭრილობა, ხოლო ლევან დადუნაშვილს მეორე მოზარდმა მიაყენა 2 ნაკვეთი ჭრილობა. ამ ვერსიის გარდაცვლილის ოჯახებს არ სჯერათ.

დავით სალარიძე დიდი და ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოზარდი იყო. ის დაახლოებით 130 კილოს იწონიდა, სიმაღლეში კი 196 სანტიმეტრი იყო. ის მორაგბე იყო და ბევრს ვარჯიშობდა. მისი სხეული მთლიანად კუნთი იყო.

მის მკვლელობაში ბრალდებული ჯანაშია კი სულ რაღაც 40-45 კილოს იწონის. მისი ფიზიკური მონაცემებიც საკმაოდ სუსტია.

შესაბამისად, არადამაჯერებელია პროკურატურის განცხადება, რომ სარალიძეს 12 ჭრილობა მხოლოდ ამ ადამიანმა მიაყენა. ამას ჯანაშია ფიზიკურად ვერ მოახერხებდა. კიდევ ერთხელ გეუბნებით, სარალიძე ბევრს ვარჯიშობდა და დაკუნთული იყო. დაკუნთულ სხეულზე ჭრილობის მიყენება კი ბევრად რთულია. მით უმეტეს, რომ ჯანაშია ფიზიკურად სუსტი იყო.

ჯანაშია სალარიძისთვის ერთადერთ შემთხვევაში შეძლებდა 12 ჭრილობის მიყენებას – ვიღაცას სალარიძე უნდა გაეკავებინა. სალარიძე ძალიან ძლიერი იყო და მის გაკავებას ერთი და ორი ადამიანი ვერ შეძლებდა.

იმ შემთხვევაში თუ მას სალარიძის გაკავებაში ეხმარებოდნენ, მაშინ მოზარდის მკვლელობაში მარტო ჯანაშია კი არ არის პასუხისგებაში მისაცემი, უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც მკვლელობამდე დათოს ამაგრებდა. ისინი მკვლელობის თანამონაწილენი არიან, მათ ხელი შეუწყვეს მოზარდის მკვლელობას.

***– ექსპერტიზა დასრულებულია. წესით, ექსპერტიზას უნდა დაედგინა, მართლა ერთი დანით აქვთ თუ არა სალარიძეს და დადუნაშვილს ჭრილობები მიყენებული.***

– ექსპერტიზით მარტივად შეიძლება იმის დადგენა, სალარიძეს და დადუნაშვილს რამდენი დანით აქვთ ჭრილობები მიყენებული. ამ მიმართულებით პროკურატურის ქმედებებიც ბევრ კითხვას აჩენს.

ერთმა ადამიანმა, რომლის წესიერებასა და კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, მითხრა, რომ პროკურატურას ექსპერტიზისთვის არ უკითხავს, ჭრილობები რამდენი დანით არის მიყენებული.

ეს ფაქტი, დაჭრილების დამალვა, შემთხვევის ადგილის დანგრევა და ჩხუბში მონაწილე მოზარდების ნაწილის ვინაობის გასაიდუმლოება მიუთითებს იმაზე, რომ პროკურატურა დანაშაულში მონაწილე პირებს ხელს აფარებს. ეს პირები, შესაძლოა, გავლენიან ოჯახს წარმოადგენდნენ.

მოკლული მოზარდების ოჯახები და მათი ახლობლები ბოლომდე ვაპირებთ ამ საქმის მიყვანას. მე ძალიან ბევრ ინფორმაციას ვღებულობ, ვამოწმებ. პროკურატურა, მართალია ძალიან ცდილობს ვიღაცისთვის ხელის დაფარებას, მაგრამ სიმართლე აუცილებლად დადგინდება.

სიმართლის დადგენაში ძალიან დაგვეხმარებოდა ფარდული, რომელიც კვალის წაშლის მიზნით დაანგრიეს.

# პროფკავშირების ინფორმაციით, გასულ წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 41 და მძიმედ დაშავდა 63 ადამიანი

2017 წლის განმავლობაში, უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო, სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 41 და მძიმედ დაშავდა 63 ადამიანი.

ამის შესახებ პროფკავშირების გაერთიანების შრომის ტექნიკური ინსპექციის უფროსმა ნიკა კაკაშვილმა განაცხადა.

მისი განცხადებით, მშენებლობის პროცესში უბედური შემთხვევები ძირითადად იმიტომ ხდება, რომ დამსაქმებელი კომპანიები არ იცავენ უსაფრთხოების წესებს, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებულ თანხებს ზოგავენ, ეს კი სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს.

როგორც ნიკა კაკაშვილმა განმარტა, პროფკავშირების გაერთიანება ობიექტებზე დაფიქსირებულ შემთხვევების თაობაზე დამატებით, ოფიციალურ ინფორმაციას შსს-გან ელოდება.

– ეს არის მხოლოდ პროფკავშირების მონაცემები. ასევე ველოდებით ინფორმაციას შსს-გან, რადგან ეს არის არასრული მონაცემები. სადაც არ გვაქვს პროფკავშირების პირველადი ორგანიზაცია, იქ გარდაცვლილებსა და დაშავებულებზე ინფორმაციას, ძირითადად, ვიღებთ მასმედიისა და სხვადასხვა წყაროების საშუალებით. ყურადღებით ვართ და ვაგროვებთ ამ ინფორმაციას. ეს არის მხოლოდ ჩვენი მონაცემები, ანუ მინიმალურია და არ გახლავთ სრული მონაცემები. ყველაზე მეტი შემთხვევა, რა თქმა უნდა, მოდის მშენებლობის სექტორზე, შემდეგ არის სამთო მოპოვება, შემდეგ ენერგეტიკული დარგი და ამის შემდგომ უკვე სხვა დარგებზე ფიქსირდება შემთხვევები. მშენებლობის დროს ყველაზე მეტი შემთხვევა ხდება თბილისში და დედაქალაქი ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა, ვინაიდან აქ ბევრი სამშენებლო ობიექტია და შემთხვევების რაოდენობაც მეტია. თუმცა, ეს არ არის მიზეზი იმისა, რაც ხდება. ცხადია, ალბათობას ზრდის, როდესაც ბევრი ობიექტი შენდება, რომ უბედური შემთხვევა მოხდეს, ანუ უბედური შემთხვევა არ გამოირიცხება, თუმცა ასეთი მძიმე სტატისტიკა რომ გვაქვს, გამომდინარეობს იმისგან, რომ პირველ რიგში, კომპანიების მხრიდან არ ხდება უსაფრთხოების წესების დაცვა. კომპანიის ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო, მაგრამ როდესაც სამშენებლო კომპანია არ ასრულებს უსაფრთხოების წესებს და მას არღვევს, ვინ უნდა დაარეგულიროს ეს სიტუაცია, თუ არა სახელმწიფომ?! – განაცხადა ნიკა კაკაშვილმა.



მისივე თქმით, ასევე არსებობენ კომპანიები, რომლებიც უსაფრთხოების ნორმებს იცავენ.

– ასევე არიან კომპანიები, რომლებიც კეთილსინდისიერად უდგებიან ამ საკითხს, სულ რომ არ არსებობდეს მაკონტროლებელი ორგანო, მაინც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებას და იცავენ გათვალისწინებულ ნორმებს ამ მიმართულებით, თუმცა არიან კომპანიები, რომლებიც არათუ არღვევენ უსაფრთხოების ნორმებს, არამედ უფრო მეტიც, ხარჯებს ზოგავენ იმ მიმართულებით, რაც უნდა გაიწეროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, – განაცხადა კაკაშვილმა.

# „ფული აქვს და გადაიხადოს“ — ასეთი მიდგომა საქართველოში ძალიან პოპულარულია, თუმცა — გაუმართლებელი“

2018 წლიდან ავტომობილებზე ქონების გადასახადი უნდა ამოქმედდეს. ცვლილება, რომელზეც კარგა ხანია საუბრობენ, წელს რეალურად შედის ძალაში. აღნიშნული გადასახადის გადახდა 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს მოუწევთ, კერძოდ: 40 ათასიდან 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებმა ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0,05% და არაუმეტეს





0,2 % უნდა გადაიხადონ. ხოლო 100 ათასი ლარის, ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის გადასახადი ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0,8% და არაუმეტეს 1% იქნება. ამ გადასახადის დაწესებას სატრანსპორტო სფეროს წარმომადგენლები განსხვავებულად აფასებენ. „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიშვილი მიიჩნევს, რომ ავტომობილებზე ქონების გადასახადის შემოღება ამ სფეროში ბევრს ვერაფერს შეცვლის:

**დავით მესხიშვილი:**

– ასეთი გადასახადი ყველა ევროპულ ქვეყანაშია და ავტოპარკის განახლებას ემსახურება, თანაც, ეს ქვეყნები გარემოს გაჯანსაღებას მსგავსი ღონისძიებებით ცდილობენ. ჩვენთან კი, ეს გადასახადი არაფერზე არაა მორგებული, ის არც ავტოპარკის განახლებას ემსახურება და არც სხვა რამეს. ამ გზით ბიუჯეტშიც ვერ შევა მნიშვნელოვანი თანხა, რადგან ქვეყანაში ძალიან ცოტაა ხალხი, ვისაც 40 ათას ლარზე მეტი შემოსავალი აქვს ანუ ეს საბიუჯეტო ნაწილშიც არ იქნება წარმატებული ცვლილება. თავდაპირველად მსჯელობდნენ იმაზე, რომ ქონების გადასახადი ავტომანქანის ასაკის მიხედვით უნდა

დადგენილიყო, რაც ჩემი აზრით, დაუშვებელია. ახლა კი, საუბარია იმაზე, რომ გადასახადი ავტომობილის ღირებულების მიხედვით უნდა განისაზღვროს, აქაც ბევრი კითხვა ჩნდება – რომელი ღირებულების? – ჩვენთან ავტომობილების ყიდვა-გაყიდვა ისე ხდება, რომ მისი ფასი ხშირად არსად ფიქსირდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს მოუმზადებელი გადაწყვეტილებაა და ბევრს ვერაფერს შეცვლის. ისიც საკითხავია, რამდენად ახერხებს სახელმწიფო მძღოლის შემოსავლების კონტროლს, ან საიდან დაადგინეს ეს მარჟა – 0,05 და 0,2 პროცენტი? არანაკლებ გვაინტერესებს, რა იგულისხმება ავტომობილის ღირებულებაში? – შეიძლება ადამიანს 8-10 წლის განმავლობაში ჰყავდეს ერთი ავტომობილი და საიდან უნდა გავარკვიოთ, ადრე რა ღირდა, ან ახლა რა ღირს? ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან ბუნდოვანი ცვლილებაა და მისი ამოქმედება სწორი არ არის. ჩვენი თვალთახედვით გადასახადი უნდა დაწესდეს მაღალი კუბატურის მქონე ავტომობილებზე, რომლებიც გარემოს უფრო მეტად აბინძურებენ. რაც შეეხება ახალ ავტომობილებს, მათი მფლობელები ყველაზე მეტად უნდა წაახალისონ, რომ ქვეყანაში ახალი ავტოპარკი შეიქმნას. ეს გადასახადი კი, საერთოდ არც ერთ მოთხოვნას არ პასუხობს. აქვე ჩნდება ეჭვი – ხომ არ არის ეს მცდელობა, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები უფრო მეტად დაიბეგრონ? „ფული აქვს და გადაიხადოს“ – ასეთი მიდგომა საქართველოში ძალიან პოპულარულია, მაგრამ ნამდვილად არ არის სწორი და გამართლებული.

ამავე საკითხის შეფასება საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძეს ვთხოვეთ:

**შალვა ოგბაიძე:**

– დავიწყებ იმით, რომ დედაქალაქის მერმა – კახა კალაძემ წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოადგინა თავისი სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სატრანსპორტო სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრაა. ეს გეგმა პირველ რიგში საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას ითვალისწინებს და იმას, რომ მსუბუქი ავტომობილების მფლობელებმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადაინაცვლონ. ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს შორის ერთ-ერთი ავტომობილებზე ქონების გადასახადის დაწესებაა. ეს ცვლილება 40 ათასი ლარის, ან უფრო მეტი შემოსავლის მქონე პირთა ავტომფლობელებს შეეხება. მე რომ პარლამენტში ვიყო, საკითხს ასე დავსვამდი: ვინ უნდა იხდიდეს უფრო მეტს – ის, ვისაც უფრო ასაკოვანი ავტომობილი ჰყავს თუ ახალი? ტექნიკურად გაუმართავი თუ გამართული, მეტი კუბატურის მქონე თუ ნაკლებისა, ან რამდენს უნდა იხდიდნენ ელექტრომობილები და ჰიბრიდული ავტომობილები? – ეს პრობლემები მარტო მე კი არა, მთელ ჩვენს საზოგადოებას აწუხებს.

შალვა ოგბაიძის აზრით, მძღოლის შემოსავალს კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, არამედ იმას, თუ რამდენად აბინძურებს გარემოს მისი ავტომობილი:

– წესით, ვინც ჰაერს აბინძურებს, უფრო მეტს უნდა იხდიდეს. 40 ათასი ლარის შემოსავლის მქონე ადამიანს ამ გადასახადის გადახდა არ უნდა გაუჭირდეს. ავტომანქანის ღირებულების 0,05 პროცენტი არ არის ის თანხა, რომელსაც ავტომფლობელი ვერ გადაიხდის. ეჭვი მეპარება, რომ 20.000-დოლარიანი მანქანის მფლობელმა, რომელსაც შემოსავალი 40 ათასი ლარი აქვს, ეს გადასახადი ვერ გადაიხადოს. რა თქმა უნდა, თავიდან ავტომობილებზე დაწესებულ გადასახადს სერიოზული ფისკალური ეფექტი არ ექნება, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. არ არის გამორიცხული ამ ცვლილებამ მომავალში უფრო ფართო მასშტაბი მიიღოს. სხვათა შორის, საზღვარგარეთ სატრანსპორტო საშუალებები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი სოლიდური წყაროა. ჩვენც ამას უნდა მივაღწიოთ, ოღონდ, ეტაპობრივად: მთავარია ეს არ იყოს იმხელა ტვირთი, რომელიც მძღოლის მდგომარეობას ძალიან დაამძიმებს და გააუარესებს.

# ფინანსთა მინისტრი: „შესრულებულია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი“



საქართველოს ფინანსთა მინისტრის განცხადებით, შესრულებულია სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი.

– ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 131,5 მილიონიანი გადაჭარბებით არის შესრულებული და ნომინალურ გამოსახულებაში 11 მილიარდ 618.7 მლნ ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან მიმართებაში 12%-ს, 1 მილიარდ 244.6 მლნ ლარს შეადგენს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, გადაჭარბებით არის შესრულებული საშემოსავლო ნაწილის ყველა მნიშვნელოვანი კატეგორია: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადები გადაჭარბებულია 11.3 მლნ ლარით (8 მილიარდ 991.3 მლნ ლარი) 19.4 მლნ ლარიანი გადაჭარბებაა გრანტებიდან მიღებულ შემოსავლებში (350.6 მლნ ლარი) 23.4 მილიონი ლარით გადაჭარბდა სხვა შემოსავლები (408.4 მლნ ლარი) 7.6 მლნ ლარით გადაჭარბდა არაფინანსური აქტივების პრივატიზაციიდან მისაღები თანხები (97.6 მლნ ლარი) 34.1 მლნ დამატებით მივიღეთ ფინანსური აქტივებიდან (119.1 მლნ ლარი) ვალდებულებების ზრდაში სრულად იქნა ათვისებული დაგეგმილი მაჩვენებლები, მათ შორის, საგარეო დაფინანსების კუთხით (სულ ვალდებულებების ზრდა – 1 მილიარდ 651.6 მლნ ლარი).

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება პარლამენტს 18 იანვარს უკვე წარედგინა.

# აზერბაიჯანელებმა საქართველოში უძრავი ქონების შეძენა დაიწყეს



აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმა საქართველოში უძრავი ქონების შეძენა დაიწყეს. როგორც ადგილობრივ საინფორმაციო სააგენტოსთან ABC.AZ კომპანია Liste Development-ის წარმომადგენელი აცხადებს, გასული წლის განმავლობაში მათ მიმართა და საქართველოში უძრავი ქონება შეიძინა აზერბაიჯანის 50-მა მოქალაქემ.

– ბიუროკრატიული დაბრკოლების დაბალი დონე ქვეყანას ინვესტორებისთვის მიმზიდველს ხდის, მათ შორის, უძრავი ქონების სფეროს მიმართულებით. თბილისში სარემონტო საცხოვრებლის ღირებულება ერთ კვადრატულ მეტრზე 1300-დან 3000 დოლარს შეადგენს, ხოლო შავი ზღვის საკურორტო ზონებში უძრავი ქონების ფასი კვადრატულ მეტრზე 1600-დან 1.700 დოლარამდე მერყეობს, – აცხადებს კომპანიაListe Development-ის წარმომადგენელი.

კომპანიაListe Development საქართველოს რეგიონებში ურბანულ დაგეგმარებასა და კურორტული ზონების მშენებლობაზეა სპეციალიზებული.

# 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები გადაჭარბებით შესრულდა



გასული წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაგეგმილზე მეტად შესრულდა.

კერძოდ, სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 9,750 მილიარდი (9.750.391.0 ათასი) ლარი შეადგინა, მაშინ როცა წლიური გეგმა 9,696 მილიარდი (9.696.160.0 ათასი) ლარი იყო.

ამასთან, სამსახურის ცნობით, ხარჯებმა გასულ წელს 9,327 მილიარდი (9.372. 090.0 ათასი) ლარი შეადგინა. აღსანიშნავია რომ 2017 წლის ბიუჯეტის გეგმით ხარჯები 9,333 მილიარდი (9.333.356.0 ათასი) ლარი უნდა ყოფილიყო.

საოპერაციო სალდომ შეადგინა 378.301.0 ათასი ლარი, წლიური გეგმა 362.804.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 874.149.4 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 97.606.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით – 971.755.5 ათასი ლარი. 2017 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა – 495.848.4 ათასი ლარი (უარყოფითი), წლიური გეგმა – 503.752.6 ათასი ლარი (უარყოფითი), – ნათქვამია სახაზინო სამსახურის ინფორმაციაში.

# კომერციული ბანკების წმინდა მოგება რეკორდულად გაიზარდა




დეკემბერში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 152.563.000 ლარით გაიზარდა. შესაბამისად, 2017 წლის იანვარ-დეკემბერში ბანკების წმინდა მოგებამ 869.798.000 ლარი შეადგინა, რაც 28%-ით, 190,6 მილიონი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2016 წლის იანვარ-დეკემბერში კომერციულმა ბანკებმა 679.101.000 ლარის წმინდა მოგება მიიღეს.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, კომერციული ბანკებმა დეკემბერში ბიუჯეტში 21,7 მილიონი ლარი გადაიხადეს.

# უკრაინის უმაღლესმა რადამ რუსეთი ოკუპანტად გამოაცხადა

## პარლამენტმა მიიღო კანონი დონბასის რეინტეგრაციის შესახებ



უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო კანონი დონბასის რეინტეგრაციის შესახებ.

ამ კანონის თანახმად, რუსეთი აგრესორად ცხადდება, დონბასის ტერიტორია კი – ოკუპირებულად, დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების სახელისუფლებო სტრუქტურები – საოკუპაციო ადმინისტრაციად. დონბასზე უკრაინის იურისდიქციის აღდგენაზე პასუხისმგებლობა არა უკრაინის უშიშროების სამსახურს, არამედ გაერთიანებულ შტაბს დაეკისრება, სადაც ხელმძღვანელი როლი არმიის წარმომადგენლებს ექნებათ.

კანონპროექტს მხარი 280-მა დეპუტატმა დაუჭირა. მათ შორის პეტრო პოროშენკოს ბლოკმა, სახალხო ფრონტმა, „სამოპომოშჩმა“, რადიკალურმა პარტიამ, აგრეთვე პრორუსული ოპოზიციური ბლოკის ნაწილმაც, რომელიც თავისი ლიდერის ვილკულის მოწოდებას, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიეღოთ, არ დაემორჩილა.

უმაღლესი რადის დადგენილებას კრემლი ძალზე აგრესიულად შეხვდა. რუსეთის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე მატვიენკომ განაცხადა, რომ მინსკის პროცესი ჩიხში შევიდა და ეს უკრაინის გამო მოხდა.

მატვიენკოს სიტყვები დასავლეთისკენ გაგზავნილი სიგნალია, აქაოდა, უკრაინა სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან გამოდის, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე დიდია და კიევზე ზეწოლა გააძლიერეთო.

დასავლეთმა ასეთი პათოსი არ გაიზიარა. ტრამპმა მატვიენკოს გამოსვლის პასუხად თქვა, რომ დროა, მოლაპარაკებები მინსკიდან სადმე სხვაგან გადაიტანონ.

თავად უკრაინაში ხსენებული კანონით კმაყოფილი არავინაა. პრორუსული ლობის ლიდერმა და პუტინის ნათესავმა მედვედჩუკმა განაცხადა:

– ახლა ომი დონბასში კარგა ხანს არ დამთავრდება!

ბოლომდე კმაყოფილნი არც პატრიოტები არიან. ორგანიზაცია „სვობოდას“ აქტივისტმა ლევჩენკომ აღნიშნა, რომ პარლამენტმა ხსენებული კანონი ხალხის ზეწოლით მიიღო, ამიტომაც მასში არის მუხლები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

– კანონში ნათქვამია, რომ უკრაინა მინსკის შეთანხმებების ერთგული რჩება. გამოდის, რომ ხელისუფლება დეოკუპაციას პუტინისეული სქემით აპირებს? ამას გარდა, როგორ შეიძლება ოკუპანტთან დიპლომატიური ურთიერთობები გქონდეს, ან ოკუპირებულ ტერიტორიასთან ვაჭრობდე! დენონსირებული არ არის რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება! როგორ, ოკუპანტთან მეგობრობ?! ეს ხომ აბსურდია! – აცხადებს ლევჩენკო.

1654 წლის 18 იანვარს პერეიასლავლის რადამ რუსეთ-უკრაინის გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო, 2018 წლის ამავე დღეს კი უკრაინის პარლამენტმა რუსეთი ოკუპანტად გამოაცხადა.

მოსკოვში ეს ძალიან მტკივნეულად აღიქვეს.

– უკრაინელებმა სილა გაგვაწნეს, – განაცხადა ჟირინოვსკიმ.

18 მარტს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. პუტინი, რომელიც არჩევნების ფავორიტია, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის პრეზიდენტი, უბრალოდ, იძულებულია, შექმნილ სიტუაციაში რაიმე იღონოს, რათა თანამემამულეებში მაგარი ბიჭის სახე შეინარჩუნოს. მას ესმის, რომ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ინტერვენცია რუსეთისთვის კატასტროფით დასრულდება. მას ერთადერთი გზა რჩება: დონბასში ვითარების ლოკალური გამწვავება, პლუს უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ტერორი, დივერსიები, საბოტაჟი. ასეთ სიტუაციაში კი უკრაინაში პრორუსული ძალების გავლენა მკვეთრად დაეცემა. სამაგიეროდ, გაძლიერდება ნაციონალისტების პოზიციები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ანტიიმპერიული, ანტიკორუფციული და ანტიოლიგარქიული პროგრამით გამოდიან.

უკრაინაში ცვლილებები გარდაუვალია. პოროშენკოს ალტერნატივა ახლა უკვე მხოლოდ პატრიოტები შეიძლება იყვნენ.

– მთავარია, ცვლილებები მშვიდობიანად, ევოლუციური და არა რევოლუციური გზით განხორციელდეს, – ამბობს პოლიტოლოგი ფისენკო.

# ტილერსონი: „რუსეთმა უნდა აიძულოს ასადი, ჟენევის სამშვიდობო პროცესში ჩაებას!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა განაცხადა, რომ სირიის დიქტატორი ასადი სამშვიდობო შეთანხმებებს არღვევს და კვლავ ცდილობს, ოპონენტებს ფიზიკურად გაუსწორდეს.

ტილერსონმა მოსკოვს მოუწოდა, ასადზე ზეწოლა განახორციელოს.

– რუსეთმა უნდა აიძულოს ასადი, რომ ჟენევის სამშვიდობო პროცესში ჩაებას! – განაცხადა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ სირიაში ისლამისტი ტერორისტების გააქტიურების საფრთხე დიდია. ამერიკის შეიარაღებული ძალებიც სირიას არ დატოვებენ.

– ჩვენი ჯარი სირიაში რჩება, – თქვა ტილერსონმა.

# ნიკი ჰეილი: „ფხენიანთან ლოლიაობას არ ვაპირებთ!“



აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ დადებითად შეაფასა ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის გადაწყვეტილება, მიიღოს მონაწილეობა სეულის ოლიმპიადაში. ჰეილი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაახლოება პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრას ხელს შეუწყობს. სამხრეთ კორეა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოა. თუ ჩრდილოეთ კორეასთან დაახლოების პროცესი გაგრძელდა, მაშინ დემოკრატია ჩრდილოეთ კორეაზეც გავრცელდება.

– ამავე დროს, ძალიან ფრთხილადაც უნდა ვიყოთ! შესაძლოა, სამხრეთ კორეასთან დაახლოება კიმ ჩენ ინის ეშმაკური სვლა იყოს, რათა დასავლეთის ყურადღება მოადუნოს, – თქვა ჰეილიმ.

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩრდილოეთ კორეამ თავის ბირთვულ ამბიციებზე უნდა უარი თქვას და, სანამ ეს არ მოხდება, ფხენიანზე ზეწოლა გაგრძელდება.

– ჩრდილოეთ კორეასთან ლოლიაობას არ ვაპირებთ! – აცხადებს ჰეილი.

# თურქეთი სირიაში შეჭრისთვის ემზადება?!



თურქეთმა სირიის საზღვართან დიდძალ ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას მოუყარა თავი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თურქების მიზანია, დაიკავონ სირიის ქალაქი აფრინი, რომელსაც ქურთები აკონტროლებენ.

– ქურთი ტერორისტები ჩვენს ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედებენ. ჩვენ იძულებულნი ვართ, თავი დავიცვათ, – განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

ქურთები აშშ-ის ეგიდით შექმნილი ანტიტერორისტული კოალიციის შემადგენლობაში შედიან. მათმა ამ შეტევამ შესაძლოა თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები დაძაბოს.

# რუსეთის სკოლაში მოსწავლეებმა „მოლოტოვის კოქტეილები“ ისროლეს




რუსეთის სკოლაში ძალადობა მოხდა. დაბა სოსნოვი ბორში (ულან-უდეს მახლობლად) უფროსკლასელთა ჯგუფმა სკოლაზე თავდასხმა განახორციელა. მიზეზი მასწავლებლის მოსწავლეთა მიმართ არასამართლიანი (როგორც ისინი თვლიდნენ) მოქცევა იყო.

ჯეელებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ. ისინი სკოლაში „მოლოტოვის კოქტეილებით“ მიბრძანდნენ, შემდეგ გაკვეთილზე შეცვივდნენ და შუა გაკვეთილის დროს იქ მყოფთ ბოთლები დაუშინეს.

ატყდა პანიკა, იქაურობა კვამლში გაეხვია. ბავშვების ნაწილმა ალმოდებული კლასიდან გამოსვლა ცადა. თავდამსხმელები მათ ჯოხებით სცემდნენ და ხარხარებდნენ.

სკოლის დარაჯმა პოლიცია გამოიძახა. ხულიგნები დააკავეს, ხანძარი კი ჩააქრეს. მსხვერპლი არ არის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# იტალიის პოლიციამ ჩინური მაფიის წინააღმდეგ ოპერაცია ჩაატარა




იტალიის პოლიციამ ჩინური მაფიის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ხსენებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფმა არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მთელ ევროპაში ფრთები ფართოდ გაშალა. ისინი ეწეოდნენ რეკეტს, ვაჭრობდნენ ნარკოტიკებით და ა.შ.

ჩინური მაფია დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# რეზო თაბუკაშვილის საარქივო კოლექცია ეროვნულ არქივში შეინახება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ფონდებს ქართველი მწერლის, დრამატურგისა და სცენარისტის, რევაზ თაბუკაშვილის არქივის უნიკალური მასალა შეემატა.

ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა, თეონა იაშვილმა ლაშა თაბუკაშვილს საგამოფენო პავილიონში უმასპინძლა, სადაც მან ეროვნულ არქივს გადასცა თავის ოჯახში დაცული, რევაზ თაბუკაშვილის კუთვნილი საარქივო მასალა და გამოცემები, მათ შორის ვიტორიო სელას მიერ XIX საუკუნის ბოლოს რაჭასა და სვანეთში გადაღებული ფოტოები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლების ავტორობით უცხოეთში გამოცემული წიგნები და პერიოდული გამოცემები, XVII-XVIII საუკუნეების ქართული ხელნაწერების ფრაგმენტები, XIX საუკუნეში გადაწერილი წმინდა ქეთევანის წამება და სხვა უნიკალური დოკუმენტები.



ლაშა თაბუკაშვილმა რამდენიმე წლის წინათ თავისი ოჯახის მდიდარი ფოტოკოლექცია, რომელიც რევაზ თაბუკაშვილისა და მედეა ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოებს აერთიანებდა, ასევე საქართველოს ეროვნულ არქივს გადასცა.

საარქივო წესით აღრიცხვისა და დამუშავების შემდეგ რევაზ თაბუკაშვილის არქივი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

# ჩხერის ციხეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მდებარე XVII საუკუნის ჩხერის ციხეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



ციხე აგებულია მაღალი მთის თხემზე, რომელიც ხეობაშია შეჭრილი და მთლიანად აკონტროლებს მდინარე ჩხერიმელას ხეობას. ციხის ფუნქცია, როგორც ჩანს, აქ გამავალი ქართლ-იმერეთის ერთ-ერთი მთავარი გზის კონტროლი იყო. მის შესახებ მონაცემები მოგვეპოვება ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში. ვახუშტის ცნობით, ჩხერის ციხე მაგარი და მტრისგან აუღებელი ციხე იყო. 1738 წელს იმერეთის მეფემ, ალექსანდრე მეხუთემ, ის ნიკოლოზ აბაშიძეს უბოძა, რომელმაც 1762 წელს მეფე სოლომონ პირველს მიყიდა. 1774 წელს ამ ციხესთან მოხდა ცნობილი ჩხერის ბრძოლა, რომლის დროსაც სოლომონ პირველმა ოსმალები სასტიკად დაამარცხა. ციხე ნაგებია ნატეხი ქვით დუღაბზე. კარგადაა შერწყმული რელიეფს და მისი კონფიგურაცია რელიეფს მიყვება. მისასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან, მთის ფერდიდან აქვს. დანარჩენი სამი მხარე მას ფლატეზე აქვს. ციხე ორი ნაწილისგან შედგებოდა: გალავანი და შიდა ციხე. გალავნის მცირე ფრაგმენტი შემორჩენილია ჩრდილოეთით, მისადგომი მხარისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთით იმ ადგილას, სადაც ფლატე შედარებით ნაკლებადაა დახრილი. შიდა ციხე, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა. დასავლეთით სასახლეა, აღმოსავლეთით, აკროპოლისი. სასახლე ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლები ყრუ ჰქონდა. აღმოსავლეთის კედელი კი, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულია, აკროპოლისთან მაკავშირებელი იყო და აქედან უნდა ჰქონოდა კარიც. პირველი სართულის დონეზე დასავლეთის კედელში თაღჩები ჰქონია დატანებული. მეორე სართულზე კი სათოფურ-სარკმლებია ჩამწკრივებული. აკროპოლისი სასახლის აღმოსავლეთითაა. შედგებოდა გალავნისა და მასში ჩართული კოშკებისგან. ამჟამად შემორჩენილია ორი კოშკი, სამხრეთის და აღმოსავლეთის. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკიდან მხოლოდ პირველი სართულის დონეზე ორი კედლის ფრაგმენტია შემორჩენილი, სამხრეთ-აღმოსავლეთი კოშკი შედარებით უკეთაა დაცული. ის კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედია, ოდნავ ზევითკენ შევიწროვებული. ამჟამად შემორჩენილია ორი სართულის დონეზე. შესასვლელი დასავლეთ კედელშია. აღმოსავლეთ კედელში სათოფურ-სარკმელი აქვს. პირველი სართულის დონეზე ამავე მხარეს ჩაყრილია მცირე ზომის ქვევრები. სართულშორისი გადახურვა ხის ძელების ყოფილა. კოშკი სასახლესთან გალავნითაა დაკავშირებული.

# რონალდინიო ფეხბურთიდან წავიდა

2001 წლის სექტემბრის დასასრული. პსჟ ბორდოსთან მარცხდება, რონალდინიო სათადარიგოთა სკამზე ზის. ახალგაზრდა ბრაზილიელი საფრანგეთში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვიდა, მაგრამ პარიზში 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში.



რონალდინიომ ბოლო ოფიციალური მატჩი 2015 წლის სექტემბერში ჩაატარა და ვადამდე გაწყვიტა კონტრაქტი ფლუმინენსესთან. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ ოფიციალურად დაასრულა კარიერა.

1999 წელს რონალდინიომ კოპა ამერიკა მოიგო და გახდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი (6 გოლი), ანალოგიური მიღწევები ბრაზილიელმა კონფედერაციის თასზეც გაიმეორა, გრემიოში კი 49 მატჩში 41 გოლი გაიტანა.

საფეხბურთო ევროპა უკვე ოცნებობდა ტექნიკურ ბრაზილიელზე, ესპანეთიდან მას რეალი და ბარსელონა ეძახდნენ, იტალიიდან – ინტერი, გერმანიიდან – დორტმუნდი. ინგლისიდან როგორც ყოველთვის უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა ვენგერის არსენალმა. თუმცა, ყველაზე გიჟური შემოთავაზება ლიდსიდან წამოვიდა – პრემიერლიგის მესამეადგილოსანი ჩემპიონთა ლიგისთვის გაძლიერებას აპირებდა და გრემიოს 45 მილიონ ევროს სთავაზობდა რონალდინიოს სანაცვლოდ.

ბოძებულ ტალანტს, რომელმაც ფეხბურთი ხელოვნების უმაღლეს რანგში აიყვანა და ლამის ჯადოქრობასთან გააიგივა, რონალდინიო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად შეეძლო ექცია – შეეყვანა თანავარსკვლავედში, სადაც გვარ-სახელები თითზეა ჩამოსათვლელი, მაგრამ...

ბევრი მიიჩნევს, რომ ჯადოქარმა მოტივაცია უკვე 27 წლის ასაკში დაკარგა. „ოქროს ბურთი", მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება.

რონალდინიო პარიზში აღმოჩნდა... მისთვის პარიზული კლუბი ნამდვილი ტრამპლინი იქნებოდა. მაშინ პსჟ არ იყო ტოპკლუბი, შემადგენლობაში კონკურენციაც არ იქნებოდა მაღალი, შესაბამისად ის მალე აითვისებდა ევროპულ ფეხბურთს. გრემიო ბრაზილიელის ტრანსფერს ვერ შეეგუა და პარიზელებს სასამართლოში უჩივლა. ფიფამ რონალდინიო საერთოდ მოკვეთა ფეხბურთიდან იმ დრომდე, სანამ ეს საქმე არ მოგვარდებოდა.

4 თვე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და თავისუფალ დროს ფრანგულ ენას სწავლობდა. 2001 წელს რონი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, მაისში „პარკ დე პრენსზე" პრეზენტაციაც მოუწყვეს, ივნისში 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ფიფა კვლავ არ აკარებდა ფეხბურთელს მოედანს, პსჟ-მ მხოლოდ აგვისტოში მოაგვარა ტრანსფერის დეტალები.

იმ დროისთვის რონალდინიო დაუმეგობრდა მაურისიო პოჩეტინოს, ჯერ კიდევ უცნობ გაბრიელ ჰაინცეს, ბარსელონადან იჯარით გადმოსულ მიკელ არტეტასა და რეალიდან დაბრუნებულ ნიკოლა ანელკას. უფროსი დამრიგებლის როლში ბრაზილიელს ჯეი ჯეი ოკოჩა მოევლინა. ნიგერიელი და სამხრეთამერიკელი ძალიან კარგად უგებდნენ ერთმანეთს, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთაც.

თუმცა, ფეხბურთის გარეშე გატარებულმა ნახევარმა წელმა ბრაზილიელის ფორმაზე კვალი დატოვა. რონალდინიოს ულიმღამო დებიუტი გამოუვიდა, რომელიც ოსერთან მატჩის დროს გაიმართა. მისი თამაში მხოლოდ მეოთხე მატჩის შემდეგ გახდა შედეგიანი, რონიმ საგოლე გადაცემა გაუკეთა ოკოჩას. ბრაზილიელს იშვიათად ათამაშებდნენ ძირითადში, გულშემატკივრები კი იმედგაცრუებულნი იყვნენ მისი ტრანსფერით.

იმ ზაფხულს ნიუკასლში გადავიდა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ლორან რობერი, აღარავის ჰქონდა იმის იმედი, რომ რონალდინიო მას სრულფასოვნად შეცვლიდა.

ბრაზილიაში იმ დროს კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი აინთო, სახელად კაკა, რომელიც რონალდინიოს პოზიციაზე თამაშობდა, სან-პაულუს მაისურით სასწაულებს ჩადიოდა და ნაკრების ძირითად შემადგენლობას უახლოვდებოდა. კორეა-იაპონიის მუნდიალამდე წელიწადზე ნაკლები რჩებოდა, რონი კი უაზროდ იჯდა სათადარიგოთა სკამზე. ნერვებმა ბრაზილიელს სწორედ ბორდოსთან მატჩში უმტყუნა, როდესაც

გაგრძელება მე-9 გვერდზე


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66. .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# მშვიდი ტური ევროპაში




## სტატისტიკა, ფსონები

საახალწლო სიგიჟეების შემდეგ ევროპაში მშვიდი და რიგითი ტურია. განსაკუთრებული მატჩები ამ უქმეებზე არ არის, თუ მხედველობაში ფრანგული ლიგა 1-ის მატჩს, ლიონი-პსჟ-ს არ მივიღებთ. ერთმანეთს 1-2 ადგილოსნები ხვდებიან, მაგრამ პარიზული კლუბი ბუქმეიქერებს უდავო ფავორიტად ჰყავთ შერაცხული.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.01 ბრაიტონი-ჩელსი | 6.0 | 3.8 | 1.57 |
| 20.01 სტოკი-ჰადერსფილდი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 20.01 ბარნლი-მანჩესტერი | 6.0 | 3.75 | 1.57 |
| 20.01 არსენალი-კრ.პალასი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 20.01 ვესტ ჰემი-ბორნმუთი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 20.01 ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 20.01 ლესტერი-უოტფორდი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 20.01 სიტი-ნიუკასლი | 1.12 | 8.5 | 19.0 |
| 21.01 საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 5.5 | 3.8 | 1.61 |
| 22.01 სუონსი-ლივერპული | 9.5 | 5.5 | 1.3 |

**ბრაიტონი-ჩელსი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ისაია ბრაუნი

ჩელსი: ***ტრავმ***-გარი კეიჰილი

**სტოკი-ჰადერსფილდი**

სტოკი: ***ტრავმ***-გლენ ჯონსონი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-მარტინ გრანიე, კრის ლავი, ელიას კაჩუნგა

**ბარნლი-მანჩესტერი**

ბარნლი: ***ტრავმ***-კრის ვუდი, სტივენ უორდი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ერიკ ბეილი

**არსენალი-კრ.პალასი**

არსენალი: ***ტრავმ***-ლორენ კოსიელნი, ნაჩო მონრეალი, ოლივიე ჟირუ, სანტი კაზორლა

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეისონ პუჩეონი, სკოტ დანი, ჯეფ შლუპი, ანდრეს თაუსენდი, მამადუ სახო, ჯოელ ვარდი

**ვესტ ჰემი-ბორნმუთი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მაიკლ ანტონიო, უინსტონ რიდი, დიაფრა სახო, ედიმილსონ ფერნანდესი, ხოსე ფონტე

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯერმეინ დეფო, ტაირონ მინგსი

**ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი**

ევერტონი: ***ტრავმ***-მაიკლ კეინი, მარტინ სტეკელენბურგი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

**ლესტერი-უოტფორდი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ვეს მორგანი, დანი სიმპსონი, რობერტ ჰანტი

უოტფორდი: ***ტრავმ***-ტომ კლევერლი, იუნის კაბული, კიკო ფემენია, მიგელ ბრიტოსი, ნათან ჩალობა

**სიტი-ნიუკასლი**

სიტი: ***ტრავმ***-გაბრიელ ჟესუსი, ვინსენტ კომპანი, ბენჯამინ მენდი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ხესუს გომესი

**საუთჰემპტონი-ტოტენჰემი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მაია იოშიდა, ჩარლი ოსტინი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დანი როუზი, ტობი ალდერვეირელდი

**სუონსი-ლივერპული**

სუონსი: ***ტრავმ***-მაიკ ვან დერ ჰორნი, ანგელ რანგელი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯორდან ჰენდერსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 20 | 2 | 1 | 67-17 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 23 | 15 | 5 | 3 | 48-16 | 50 |
| 3.ლივერპული | 23 | 13 | 8 | 2 | 54-28 | 47 |
| 4.ჩელსი | 23 | 14 | 5 | 4 | 41-16 | 47 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 13 | 5 | 5 | 46-21 | 44 |
| 6.არსენალი | 23 | 11 | 6 | 6 | 41-30 | 39 |
| 7.ბარნლი | 23 | 9 | 7 | 7 | 19-20 | 34 |
| 8.ლესტერი | 23 | 8 | 7 | 8 | 34-32 | 31 |
| 9.ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25-38 | 27 |
| 10.უოტფორდი | 23 | 7 | 5 | 11 | 33-42 | 26 |
| 11.ვესტ ჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29-41 | 25 |
| 12.კრ.პალასი | 23 | 6 | 7 | 10 | 21-33 | 25 |
| 13.ბორნმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 24-35 | 24 |
| 14.ჰადერსფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 19-39 | 24 |
| 15.ნიუკასლი | 23 | 6 | 5 | 12 | 21-31 | 23 |
| 16.ბრაიტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 17-29 | 23 |
| 17.საუთჰემპტონი | 23 | 4 | 9 | 10 | 23-34 | 21 |
| 18.სტოკი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-50 | 20 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 3 | 10 | 10 | 18-30 | 19 |
| 20.სუონსი | 23 | 4 | 5 | 14 | 14-35 | 17 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.01 ესპანიოლი-სევილია | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 20.01 ატლეტიკო-ხირონა | 1.35 | 4.5 | 11.0 |
| 20.01 ვილიარეალი-ლევანტე | 1.44 | 4.2 | 8.0 |
| 20.01 ლას პალმასი-ვალენსია | 4.33 | 3.8 | 1.75 |
| 21.01 ალავესი-ლეგანესი | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 21.01 რეალი-დეპორტივო | 1.12 | 9.0 | 17.0 |
| 21.01 სოსიედადი-სელტა | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 21.01 ბეტისი-ბარსელონა | 8.5 | 6.0 | 1.28 |
| 22.01 ეიბარი-მალაგა | 1.7 | 3.4 | 5.5 |

**ესპანიოლი-სევილია**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სერხიო გარსია, პაბლო პიატი

სევილია: ***ტრავმ***-სერხიო ესკუდერო, ინიგო მარტინესი

**ატლეტიკო-ხირონა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

ხირონა: ***ტრავმ***-პედრო ალკალა

**ვილიარეალი-ლევანტე**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რუბენ სემედო, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

ლევანტე: ***ტრავმ***-ტონო, ივან ლოპესი, ალექს ალეგრია

**ლას პალმასი-ვალენსია**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-პედრო ბიგასი, მიჩელი

ვალენსია: ***ტრავმ***-ჯეისონ მურილიო

**ალავესი-ლეგანესი**

ალავესი: ***ტრავმ***-ბურგული, კარლოს ვიგარაი, ექტორი

ლეგანესი: ***ტრავმ***-ალექსანდერ შიმანოვსკი

**რეალი-დეპორტივო**

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, კარიმ ბენზემა

დეპორტივო: ***ტრავმ***-ფედე კარტაბია

**სოსიედადი-სელტა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-

სელტა: ***ტრავმ***-არავინ

**ბეტისი-ბარსელონა**

ბეტისი: ***ტრავმ***-ანტონიო ბარაგანი, ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

ბარსელონა: ***ტრავმ***-პაკო ალკასერი, სამუელ უმტიტი

**ეიბარი-მალაგა**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

მალაგა: ***ტრავმ***-დიეგო როლანი, ხუანკარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 3 | 0 | 52-9 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 12 | 6 | 1 | 28-8 | 42 |
| 3.ვალენსია | 19 | 12 | 4 | 3 | 40-19 | 40 |
| 4.რეალი | 18 | 9 | 5 | 4 | 32-17 | 32 |
| 5.ვილიარეალი | 19 | 9 | 4 | 6 | 26-21 | 31 |
| 6.სევილია | 19 | 9 | 2 | 8 | 23-28 | 29 |
| 7.ბეტისი | 19 | 8 | 3 | 8 | 33-36 | 27 |
| 8.ეიბარი | 19 | 8 | 3 | 8 | 24-31 | 27 |
| 9.ხეტაფე | 19 | 7 | 5 | 7 | 23-18 | 26 |
| 10.ხირონა | 19 | 7 | 5 | 7 | 28-28 | 26 |
| 11.სელტა | 19 | 7 | 4 | 8 | 33-27 | 25 |
| 12.ბილბაო | 19 | 6 | 7 | 6 | 21-20 | 25 |
| 13.ლეგანესი | 18 | 7 | 3 | 8 | 15-17 | 24 |
| 14.ესპანიოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 16-22 | 24 |
| 15.სოსიედადი | 19 | 6 | 5 | 8 | 33-34 | 23 |
| 16.ლევანტე | 19 | 3 | 9 | 7 | 15-26 | 18 |
| 17.ალავესი | 19 | 6 | 0 | 13 | 14-27 | 18 |
| 18.დეპორტივო | 19 | 4 | 4 | 11 | 21-37 | 16 |
| 19.მალაგა | 19 | 3 | 2 | 14 | 13-33 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 19 | 3 | 2 | 14 | 14-46 | 11 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.01 გლადბახი-აუგსბურგი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 20.01 ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 2.87 | 3.75 | 2.25 |
| 20.01 ფრაიბურგი-ლაიპციგი | 3.4 | 3.4 | 2.1 |
| 20.01 მაინცი-შტუტგარტი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 20.01 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 20.01 ჰამბურგი-კიოლნი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 21.01 ბაიერნი-ვერდერი | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 21.01 შალკე-ჰანოვერი | 1.55 | 4.0 | 6.0 |

**გლადბახი-აუგსბურგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-რაულ ბობადილა, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმ ტრაორე, ლასლო ბენეში

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ალფრედ ფინბოგასონი, კევინ დანსო, ერიკ ტომი

**ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კევინ აკპოგუმა, ნადი ამირი, კარიმ დემირბეი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

**ფრაიბურგი-ლაიპციგი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, ონურ ბულუტი, ფილიპ ლინჰარტი, მიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ ჰალსტენბერგი, ემილ ფორსბერგი

**მაინცი-შტუტგარტი**

მაინცი: ***ტრავმ***-რენე ადლერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ანტო გრგიჩი, ებენეზერ ოფორი, მატიას ციმერმანი

**ვოლფსბურგი-აინტრახტი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

აინტრახტი: ***ტრავმ***-დავიდ აბრაჰამი, ჯონათან დე გუზმანი

**ჰამბურგი-კიოლნი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, ლუის ჰოლტბი, უოლოსი, ნიკოლაი მიულერი

კიოლნი: ***ტრავმ***-ტიმო ჰორნი, ლეონარდო ბიტენკურტი, ჯონ კორდობა, დომინიკ მარო, მარსელ რიისე

**ბაიერნი-ვერდერი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-მატს ჰუმელსი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

ვერდერი: ***ტრავმ***-ტომას დელანეი, არონ იოჰანსონი, ფინ ბარტელსი

**შალკე-ჰანოვერი**

შალკე: ***ტრავმ***-არავინ

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჯონატასი, ფელიპე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 2 | 40-12 | 44 |
| 2.ლაიპციგი | 18 | 9 | 4 | 5 | 30-26 | 31 |
| 3.შალკე | 18 | 8 | 6 | 4 | 29-24 | 30 |
| 4.დორტმუნდი | 18 | 8 | 5 | 5 | 39-24 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 18 | 7 | 7 | 4 | 35-26 | 28 |
| 6.გლადბახი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-30 | 28 |
| 7.აუგსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 28-23 | 27 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 18 | 7 | 6 | 5 | 28-23 | 27 |
| 9.აინტრახტი | 18 | 7 | 6 | 5 | 21-19 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 18 | 7 | 5 | 6 | 27-28 | 26 |
| 11.ჰერტა | 18 | 6 | 6 | 6 | 26-26 | 24 |
| 12.ვოლფსბურგი | 18 | 3 | 11 | 4 | 21-21 | 20 |
| 13.შტუტგარტი | 18 | 6 | 2 | 10 | 14-21 | 20 |
| 14.ფრაიბურგი | 18 | 4 | 8 | 6 | 18-32 | 20 |
| 15.მაინცი | 18 | 4 | 5 | 9 | 21-31 | 17 |
| 16.ვერდერი | 18 | 3 | 7 | 8 | 14-21 | 16 |
| 17.ჰამბურგი | 18 | 4 | 3 | 11 | 15-26 | 15 |
| 18.კიოლნი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-33 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.01 ნანტი-ბორდო | 1.95 | 3.1 | 4.33 |
| 20.01 ტრუა-ლილი | 2.7 | 3.0 | 2.8 |
| 20.01 ამიენი-გენგამი | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 20.01 რენი-ანჟე | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 20.01 მონპელიე-ტულუზა | 1.75 | 3.25 | 5.5 |
| 20.01 სტრასბური-დიჟონი | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 21.01 ნიცა-სტ.ეტიენი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 21.01 მონაკო-მეცი | 1.33 | 5.5 | 8.0 |
| 21.01 ლიონი-პსჟ | 7.5 | 4.8 | 1.4 |

**ნანტი-ბორდო**

ნანტი: ***ტრავმ***-კალიფა კულიბალი

ბორდო: ***ტრავმ***-ალექსანდერ მენდი, გაეტან ლაბორდე

**ტრუა-ლილი**

ტრუა: ***ტრავმ***-ტრისტან დინომე

ლილი: ***ტრავმ***-კევინ მალკო, რომინი კოამე

**ამიენი-გენგამი**

ამიენი: ***ტრავმ***-კვენტინ კორნე, გუსომა ფოფანა

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონათან მარტინს პერეირა, აბდულა კამარა, ეტიენ დიდო

**რენი-ანჟე**

რენი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ბაალი, სანჯინ პრჩიჩი

ანჟე: ***ტრავმ***-სალი გისი, მეჰდი ტარატი

**მონპელიე-ტულუზა**

მონპელიე: ***ტრავმ***-კევინ ბერიგო

ტულუზა: ***ტრავმ***-ფრანსუა მუბანჯე

**სტრასბური-დიჟონი**

სტრასბური: ***ტრავმ***-დმიტრი ლინარდი, მარტინ ტერიე, ბინგორო კამარა, ბენჯამინ კორნე

დიჟონი: ***ტრავმ***-ადამ ლანგი, ვესლი ლაუტოა

**ნიცა-სტ.ეტიენი**

ნიცა: ***ტრავმ***-არნო ლუსამბა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფლორენტინ პოგბა

**მონაკო-მეცი**

მონაკო: ***ტრავმ***-ტერენსე კონგოლო, რადამელ ფალკაო

მეცი: ***ტრავმ***-ტომას დიდილონი, კაფუ, ჟან ჟოფრე, მეტიუ ოდოლი, აბლი იელოუ

**ლიონი-პსჟ**

ლიონი: ***ტრავმ***-ბერტრანდ ტრაორე

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 18 | 2 | 1 | 67:15 | 56 |
| 2.ლიონი | 21 | 13 | 6 | 2 | 49:21 | 45 |
| 3.მარსელი | 21 | 13 | 5 | 3 | 43:22 | 44 |
| 4.მონაკო | 21 | 13 | 4 | 4 | 48:21 | 43 |
| 5.ნანტი | 21 | 10 | 4 | 7 | 19:20 | 34 |
| 6.ნიცა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:31 | 31 |
| 7.გენგამი | 21 | 8 | 5 | 8 | 23:26 | 29 |
| 8.მონპელიე | 21 | 6 | 10 | 5 | 18:14 | 28 |
| 9.რენი | 21 | 8 | 4 | 9 | 26:30 | 28 |
| 10.კაენი | 21 | 8 | 3 | 10 | 14:22 | 27 |
| 11.დიჟონი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:42 | 25 |
| 12.სტრასბური | 21 | 6 | 6 | 9 | 24:35 | 24 |
| 13.ბორდო | 21 | 6 | 5 | 10 | 23:31 | 23 |
| 14.სტ.ეტიენი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:36 | 23 |
| 15.ანჟე | 21 | 4 | 10 | 7 | 25:31 | 22 |
| 16.ამიენი | 21 | 6 | 4 | 11 | 17:23 | 22 |
| 17.ლილი | 21 | 6 | 4 | 11 | 19:32 | 22 |
| 18.ტრუა | 21 | 6 | 3 | 12 | 21:31 | 21 |
| 19.ტულუზა | 21 | 5 | 5 | 11 | 19:30 | 20 |
| 20.მეცი | 21 | 4 | 3 | 14 | 17:35 | 15 |

# რონალდინიო ფეხბურთიდან წავიდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლუის ფერნანდესმა მესამე ცვლილება გააკეთა, მაგრამ რონალდინიო კვლავ რეზერვში დატოვა.

განრისხებულმა ახალგაზრდამ ბუცები მოისროლა და გასახდელისკენ წავიდა. მწვრთნელმა ეს ქმედება ასაკსა და ტემპერამენტს დააბრალა და არ დასაჯა ბრაზილიელი, 2 კვირის შემდეგ კი ლიონის წინააღმდეგ ბოლო წუთებზე შეუშვა მოედანზე. რონალდინიომ ნდობა გაამართლა, მან პირველი გოლი გაიტანა ევროპულ კარიერაში, მართალია პენალტით, მაგრამ ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ბარიერი გადალახული იყო და გარდამტეხი მომენტი დადგა.

გატანილმა გოლმა ბრაზილიელს თავდაჯერებულობა შემატა და დაძაბულობა მოუხსნა. შემდეგ თამაშში, რომელიც უეფას თასზე იყო ვენის რაპიდის წინააღმდეგ, რონალდინიომ დუბლი გაიფორმა. ზამთარში გუნდის მწვრთნელს ლუის ფერნანდესს ნიკოლა ანელკასთან გაუფუჭდა ურთიერთობა და იგი ლივერპულში გაუშვა, ოკოჩა აფრიკის თასზე იბრძოდა ნიგერიასთან ერთად, რონი კი საუცხოო ფორმაში იყო და გუნდის ლიდერობა საკუთარ თავზე აიღო. სეზონის მეორე ნაწილი ბრაზილიელმა ფანტასტიკურად ჩაატარა.

რონალდინიო გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ლიგა 1-ის სიმბოლურ ნაკრებშიც შევიდა. შედეგიანი ქმედებების გარდა, რონი ნამდვილ შოუებს დგამდა მოედანზე, გულშემატკივრები ჰიპნოზის ქვეშ იყვნენ, თავად რონალდინიო კი კომპლიმენტებში ბანაობდა. ზაფხულში რონი დამსახურებულად წავიდა აზიურ მუნდიალზე, სადაც დევიდ სიმენის კარიერა დაასამარა და მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორი გახდა...

მუნდიალის მოგების შემდეგ რონალდინიო დიდხანს იმყოფებოდა ეიფორიის ქვეშ. ბრაზილიელი მოდუნდა და პარიზის ღამის კლუბებში უფრო მეტი დროის გატარება დაიწყო, ვიდრე სამწვრთნელო ბაზაზე. რონი პრინციპულ მატჩებში კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო, თუმცა სუსტ გუნდებთან უხალისოდ და უმოტივაციოდ ბურთაობდა. ხუჭუჭა გენიოსის ნიჭი მის ყველა ნაკლს წონიდა, ბრაზილიელი კვლავ პარიზული კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, თუმცა თავად პსჟ-მ სეზონის ბოლოს მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა და ევროთასების მიღმა დარჩა. ფაქტია, რომ რონალდინიოს ახალი გამოწვევა სჭირდებოდა, რადგან პარიზული კლუბი და თვითონ ლიგა 1-იც მის დონეს აღარ შეესაბამებოდა.

შემდეგ იყო უკეთესი კლუბები, პუბლიკა ისევ აღფრთოვანებული იყო მისი ჯადოქრობით და ამავდროულად, არ წყდებოდა სკანდალები. მაგრამ არსად გამქრალა არაერთი ბრაზილიელისთვის დამახასიათებელი ცხოვრების კარნავალური სტილი. 2006 წლის მუნდიალზე ფიასკოს შემდეგ, რონალდინიომ სკანდალებით განთქმულ ადრიანოსთან ერთად „იგრიალა", რითაც კრიტიკოსები კიდევ უფრო გააცოფა.

რონის შეეძლო ბარსელონის შეკრებაზე დაგვიანება მორიგი „გასეირნების" გამო ან ფრანკ რაიკაარდის შემადგენლობიდან ამოვარდნა ჩაგდებული კლასიკოს შემდეგ.

29 წლის დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, თუმცა, ეს არ უშლიდა ხელს, მილანური დერბის წინ სამდღიანი ორგია მოეწყო, ან ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ ღამის კლუბში შეევლო. რონალდინიო უკმაყოფილო იყო მილანში მისული მასიმილიანო ალეგრით, რომლისთვისაც არ არსებობენ „ხელშეუხებელნი" და ბრაზილიელმაც სან სიროზე საჩემპიონო სეზონი არ ჩაამთავრა.

საქმე კარგად არც ნაკრებში მისდიოდა: მართალია, 2008 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს დასჯერდა, მაგრამ 2 წლის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე კი სულ არ წაიყვანეს.

რონალდინიო სამშობლოში დაბრუნდა... ჯერ ფლამენგოში მიიღეს, შემდეგ – ატლეტიკო მინეიროში. ალბათ, მაშინვე აჯობებდა ბუცები ლურსმანზე ჩამოეკიდა. და ეს მართლა ლამაზად გამოვიდოდა, მაგრამ ბოლოს იყო ფუმინენსე და

– ჩვენ რაღაც გრანდიოზულს მოვაწყობთ რუსეთის მუნდიალის შემდეგ, სავარაუდოდ, აგვისტოში. რამდენიმე ღონისძიებას ჩავატარებთ ბრაზილიაში, ევროპასა და აზიაში. და რა თქმა უნდა, ორგანიზებას გავუკეთებთ მატჩს ბრაზილიის ნაკრების მონაწილეობით, – განაცხადა რონალდინიოს ძმამ, ასისმა.

ალბათ გამოსამშვიდობებელი გასტროლების დროსაც აუცილებლად ვნახავთ რაღაც განსაკუთრებულს. იმას, რაც ერთდროულად, დაგვაკვრევინებს ტაშს და აგვიცრემლიანებს თვალებს, რაც სასიამოვნოდ და თან სინანულით გაგვახსენებს იმ დროს, როდესაც ჯადოქარს შეეძლო, დიდი ხნით გამეფებულიყო, მაგრამ ტახტზე სულ რამდენიმე წელი გაატარა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# TV პროგრამა

## ორშაბათი 22 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.32 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25, 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.10 დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30 დოკ/ფ 16.30, 05.38 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 18.30, 07.06 დოკ/ფ "გონების თამაშები" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.15 ტ/სერ. "**განქორწინების სახელმძღვანელო ქალებისთვის**" 23.15 მხ/ფ "**თანაკლასელები**" 00.57 მხ/ფ "**სიჩუმე**" (გ.პელტროუ) 03.35 მხ/ფ "**დედინაცვალი**" (ჯ.რობერტსი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 6-7 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.05 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ფავორიტი**" 1 სერ. 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 6 სერ. 01.00 მხ/ფ "**ის**" 03.00 მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**" 05.35 მხ/ფ "**ქლოი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 ჩემი სამზარეულოს წესები 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00 22.45, საქმის კურსი 17.50, 20.00, 0.00, 2.00, მხ/ფ 23.10 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**" 6.00 ქალების ნარატივი

